## სახალხო-პატრიოტული კავშირის „რუსეთი ჩემი მეზობელია“ – მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი

3

## ჟურნალისტური გამოძიება



6

## კიდევ ერთხელ ცრუპენტელა კილაძიანთ ელისოზე

## ისტორიულ სინამდვილეს ნაცარს ნუ წავაყრით!



7

წარსული მომავლისთვის


# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 7 აგვისტო, 2015 წელი.

№147 (7792)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ვებ გვერდი: www.sakresp.ge ფასი 50 თეთრი.


## მერამდენედ, ჰაოს?!.



## სომხები აფხაზეთის ყიდვას აპირებენ

საერთაშორისო ცენტრის „ინვესტიციური სტრატეგიების“ თავმჯდომარის ამრამ პეტროსიანის განცხადებით, მსოფლიოს სომხური დიასპორის მიერ გამოყოფილია ფული, რომელსაც აფხაზეთის განვითარებისთვის გამოიყენებენ.

**„მას შემდეგ, რაც აფხაზეთმა დამოუკიდებლობა მოიპოვა, ის დაუმსახურებლად რჩება საინვესტიციო შემოსავლების და პროექტების გარეშე, რომელიც სერიოზულ ბიძგს მისცემდა ქვეყნის განვითარებას. ნეგატიურ როლს თამაშობენ 1992 წლის ომის მოგონებები და ქართული პროპაგანდის სხვადასხვა ლეგენდები, რომლებიც ცდილობს, ნებისმიერი პოზიტიურ წამოწყებას ხელი შეუშალოს აფხაზეთში. ამასთან, აფხაზეთი ფლობს წარმოუდგენელ გეოგრაფიულ და ბუნებრივ კლიმატურ პოტენციალს. ეს არის ფენომენალური შეხამება მთების, ზღვის, სუბტროპიკის და უნიკალური ლოჯისტიკისა. ეკონომიკის ექსპერტების აზრით, ქვეყანას განვითარებაში ხელს ინვესტიციების არქონა უშლის.**

**აფხაზები ძალიან ჭკვიანი ხალხია, მაგრამ მათ ჯერ არ შეუძლიათ მნიშვნელოვანი გარღვევების გაკეთება ამ მიმართულებით. ამისთვის საჭიროა ფული, რაც რესპუბლიკას არ გააჩნია. ჩემი აზრით, გამოსავალი აფხაზეთის მეგობარი ეთნიკური დიასპორების სახსრების მოძიებაა. აქ კი, პირველ რიგში, მახსენდება მრავალსაუკუნოვანი საერთო ისტორია და მეგობრობა აფხაზ და სომეხ ხალხებს შორის.**

**დღეისთვის, ფინანსური ანალიტიკოსების გამოთვლით, მსოფლიო სომხური დიასპორის ინვესტიციური პოტენციალი 400 მილიარდ დოლარს შეადგენს. წარმოიდგინეთ, ამ ფინანსების პატარა ნაწილი მაინც რომ აფხაზეთის ეკონომიკისკენ მიიმართოს, ეს მოახდენს ნამდვილ რევოლუციას რეგიონის ეკონომიკურ სურათში და ყველაზე ამბიციური პროექტების განხორციელების საშუალებას შექმნის. მაგალითად, თავისუფალი ეკონომიკური ზონის, პორტების აღდგენა და მოდერნიზაცია, ტურიზმის საერთაშორისო ცენტრის განვითარება, მსხვილი აგრარული კომპლექსის მთელი ციკლის შექმნა. და კიდევ მრავალი რამის გაკეთებაა შესაძლებელი საკმარისი ფინანსებით. წინ ბევრი სამუშაოა და ის წარმატებულად ჩაივლის,“** – აცხადებს პეტროსიანი.

### ველით მკითხველთა გამოხმაურებას ამ „საამო“ ინფორმაციაზე!

## რვიანიდან გაგდებული, „ჩამოლაბორანტებული“ რუსეთი ზესახელმწიფო აღარ არის?

4



ახალი მსოფლიო და საქართველო

## მილიარდერმა თემურ ფსუტურმა პირი სამშობლოსკენ იბრუნა

2

პეტერბურგელი ქართველი საქართველოში ბიზნესს აფართოებს

## პირადად მე ვიყავი და ვარ წინააღმდეგი, რომ საქართველო რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს მიუერთდეს!



3

## სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი კვლავ აღორძინდება

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი დაათვალიერა. როგორც ღარიბაშვილმა განაცხადა, აღნიშნული ცენტრი გასულ წელს, ბიძინა ივანიშვილის დაფინანსებით შეიქმნა და მანამდე კი, ბოლო 20 წელია, ამ დარგში არანაირი კვლევა არ არსებობდა.

**„თუ რამე არსებობდა და შენარჩუნებული იყო, ყველაფერი გაანადგურეს სააკაშვილის დროს. ყოველგვარი რეგულაციები, კვლევები შეწყვეტილი იყო და ის სამეცნიერო დაწესებულებები, რომელიც მანამდე არსებობდა, პრაქტიკულად განადგურებული და გაუქმებული იყო. ეს ცენტრი შეიქმნა ბიძინა ივანიშვილის დაფინანსებით. ჯილაურის ბაზაზე შეიქმნა სამეცნიერო კვლევითი ცენტრი. ამ ცენტრში თუ რაიმე ენდემური ჯიშის ქართული კულტურები იყო, ყველაფრის აღდგენა მოხდა. ეს პროექტი 2006 წელს დაიწყო ბატონი ბიძინა ივანიშვილის დაფინანსებით და შემდეგ მთელი ეს ბაზა, რომელიც რამდენიმე ათეული მილიონი ლარი დაჯდა, საჩუქრად გადაეცა სახელმწიფოს. ამ სამეცნიერო-კვლევით ცენტრში ახლა მიმდინარეობს კვლევები და ეს ცენტრი დაეხმარება ჩვენს ფერმერებს, რომ სწორად წარმართონ მეურნეობა“,** – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა და ყოფილ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს აღნიშნული პროექტის განხორციელებისთვის მადლობა გადაუხადა.

ინფორმაცია

## „რუსთავი-2“-თან დაკავშირებით კერძო დავაში მთავრობა ვერ ჩაერევა

**საქართველოს** პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი აცხადებს, რომ ყოველგვარი სამართლიანობის აღდგენის მომხრეა, თუმცა, ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის მესაკუთრეობასთან დაკავშირებული საკითხი კერძო დავაა და მთავრობის ჩართულობა ამაში ნულის ტოლია.

ღარიბაშვილის თქმით, ამ საკითხზე მას არავითარი ინფორმაცია არა აქვს, გარდა იმისა, რაც ორიოდე დღის წინათ გავრცელდა — ქიბარ ხალვაში თავისი დარღვეული უფლებების აღსადგენად სასამართლოს მიმართავს.

„ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, თავისუფალი მედიის განვითარებას მაქსიმალურად შევუწყოთ ხელი. მე ვფიქრობ, ამ სამი წლის განმავლობაში ყველამ ნახა, რომ ჩვენ მაქსიმალურად ვეხმარებით მედიის განვითარებას და მედია დღეს აბსოლუტურად თავისუფალია. სხვა შემთხვევაში, ჩვენ რომ სხვა განზრახვა გვქონოდა, ეს პროცესები ასე არ გაგრძელდებოდა. რაც შეეხება კონკრეტულ დავას, მე ამაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ, გარდა იმისა, რომ მე, როგორც მოქალაქე და პრემიერ-მინისტრი, მომხრე ვარ ყოველგვარი სამართლიანობის აღდგენის, თუმცა ვფიქრობ, რომ ეს არის ორ სუბიექტს შორის დავა, რომელსაც სასამართლო გადაწყვეტს“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

## რა ეტაპზეა რუსეთ-საქართველოს ომის თემაზე მიმდინარე გამოძიება

**ქართული** მხარე 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომთან დაკავშირებით გამოძიებას განაგრძობს, თუმცა, რა ეტაპზეა პროცესი, უცნობია.

აგვისტოს ომთან დაკავშირებით საქართველოს მთავარი პროკურატურა გამოძიებას 2008 წლიდან აწარმოებდა. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ კი, მთავარმა პროკურატურამ „აგვისტოს საომარი მოქმედებების დროს და მის შემდგომ პერიოდში სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების შესასწავლად“ სპეციალური 8-კაციანი საგამოძიებო ჯგუფი შექმნა, რომელშიც პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები შედიან. ხელისუფლებამ ეს გადაწყვეტილება რომის სტატუსის წევრობით ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებებით ახსნა. საქმე რომის სტატუსის საფუძველზე შექმნილი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორის ოფისის მიერ წინასწარი მოკვლევის სტადიაშია, რაც ნიშნავს, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორის ოფისი აფასებს, უნდა დაიწყოს თუ არა მან საკუთარი გამოძიება. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო უფლებამოსილია, სისხლისსამართლებრივი დევნა განახორციელოს იმ დანაშაულებისთვის, რომლებიც ჩამოთვლილია რომის სტატუტის მე-5 მუხლში. ესენია: გენოციდი, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, ომის დანაშაულები და აგრესია. საქართველო რომის სტატუტს 2003 წელს მიუერთდა, რუსეთს კი აღნიშნულ ხელშეკრულებაზე ხელი არ მოუწერია.

გასული წლის 8 აგვისტოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ „ჰააგიდან პირდაპირ მოთხოვნა არსებობს, რომ ჩვენი სახელმწიფოს მხრიდან აგვისტოს ომი იქნას გამოძიებული, წინააღმდეგ შემთხვევაში თავად ჰააგა გამოიძიებს ამ ომის ყველა დეტალს და ყველა ნიუანსს“. გარდა ამისა, იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის თქმით, „ამ გამოძიებას უფრო მეტი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ, უფრო სწრაფად უნდა წავიდეს წინ, რადგან ქვეყნის პრობლემები ქვეყნის შიგნით უნდა გვარდებოდეს და არავინ არ ისურვებდა 2008 წლის აგვისტოს საქმე ჰააგის პროკურორმა გამოიძიოს.

2008 წლის ომთან დაკავშირებით, რუსეთ-საქართველოს შორის სახელმწიფოთაშორისი დავა სტრასბურგის სასამართლოში მიმდინარეობს.



ვითარება

# რითი სჯობს ავლაბარი ათონელს?

### გოგა ხაინდრავა: მარგველაშვილი ბევრად უკეთესი რექტორი იყო, ვიდრე პრეზიდენტია



**იმის მიუხედავად, რომ ლამის მთელი საქართველო ერთ აზრზეა, პრეზიდენტი ავლაბრის რეზიდენციის დატოვებას არ აპირებს. გიორგი მარგველაშვილმა უკვე მერამდენედ თქვა, რომ საერთოდ არ აინტერესებს, რა ხდება ათონელის რეზიდენციაში, არც ის აინტერესებს, რომ იქ ყველაფერი მისი გემოვნებით მოეწყო და ეს 28 მილიონი დაჯდა, პრეზიდენტობის ვადის ამოწურვამდე ავლაბარში დარჩენა სურს. ამ თემაზე რეჟისორი გოგა ხაინდრავა გვესაუბრება.**

**— ბატონო გოგა, გიორგი მარგველაშვილს კარგად იცნობთ და თქვენი აზრით, რა შეიცვალა ისეთი, რამაც პრეზიდენტის ასეთი გაჯიუტება გამოიწვია?**

— არაფერი არ შეცვლილა, ათონელის რეზიდენცია ისევ ათონელზეა, ავლაბრის რეზიდენცია — ავლაბარში. შეიცვალა მხოლოდ პრეზიდენტი. ვერ გეტყვით, რა მოხდა მასში, რატომ არის ისეთი, როგორიც არის, მაგრამ ფაქტია — მარგველაშვილი სხვაგვარად ფიქრობს და აზროვნებს. არადა, როცა არჩევნებამდე რეზიდენციაზე ვსაუბრობდით, ის ღიად ამბობდა, რომ იქ ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის გახსნა სურდა. სხვათა შორის, მე სხვა მოსაზრება მქონდა. მე მინდოდა, იქ მისულ ადამიანს საქართველო ენახა, ყოფილიყო ბიბლიოთეკა, ეთნოგრაფიული კუთხე და ა.შ.

**— როგორც ჩანს, სხვა ხიბლი აქვს ავლაბრის რეზიდენციას...**

— ეს რეზიდენცია პირდაპირ იყო წინა ხელისუფლების ავტორიტარიზმის, ბოროტების და სისხლიანი ხელების სიმბოლო. თუ მარგველაშვილს სურს, რომ ამ სიმბოლოს სიმბოლოდ იქცეს, მაშინ დარჩეს რეზიდენციაში, თუმცა მგონია, რომ უკვე იქცა კიდეც. თავის დროზე ის





ამ რეჟიმის დაუძინებელი მტერი იყო და ახლა იმავე რეჟიმის სიმბოლოდ ქცევა რამდენად აწყობს, ვერ გეტყვით.

**— სხვათა შორის, ბოლო დროს ნაციონალური მოძრაობისა და პრეზიდენტის მოსაზრებები ერთმანეთს ბევრი მიმართულებით ემთხვევა...**

— ყველაზე კოშმარულ სიზმარშიც არ მინდა, დავიჯერო, რომ გიორგი მათ რამეს უთანხმებს. არადა, ფაქტია, რომ ხშირად თითქოს ერთნაირად ფიქრობენ. ისე, იმ გუნდმა (არ მაქვს საუბარი ბიძინა ივანიშვილზე, რომელმაც მარგველაშვილის პრეზიდენტობაში გადამწყვეტი როლი ითამაშა), რომელმაც მარგველაშვილი პრეზიდენტად დასვა, მასთან ურთიერთობა, პრაქტიკულად, გაწყვიტა და გაწყვიტა იმიტომ, რომ ჩვენდა სამწუხაროდ, „ქართულ ოცნებაში“ ბევრი არაპროფესიონალია. ახლა გამოჩნდა ის, რაც მე არჩევნებამდეც მეგონა — მარგველაშვილი ბევრად უკეთესი რექტორი იყო, ვიდრე პრეზიდენტია და ის რომ რექტორად დარჩენილიყო, მერწმუნეთ, ბევრად უკეთესი იქნებოდა ქვეყნისთვისაც და თავად მარგველაშვილისთვისაც.

**— სხვათა შორის, ათონელზე გადასვლაზე უარი უშიშროების საბჭომაც თქვა...**

— იმის გათვალისწინებით, ვინ ხელმძღვანელობს უშიშროების საბჭოს, ეს გადაწყვეტილება არ მიკვირს.

**ბათუ ჯაფარიძე**

კაკალ გულში

# წერტილოვანი ფრაზები

● მაინც, ვის ტვინში მოიხარშა „რუსთავი-2“-თვის კონცერტების ჩატარებაზე სხვადასხვა სასაცილო მიზეზების გამო უარის თქმა და ამით გვარამიანაცების აყეფება. სხვა კონცერტია დღეს და შენ ხვალ ჩაატარე კი არა, ერთი მამაპაპურად უნდა შეუკურთხო და რო იკითხავდნენ, რატოო? „იმედში“ რატომაც შევარდით იმიტო-თქო!!!

● „რუსთავი-2“-მა, აქაოდა, „ქართულ ოცნებაზე“ ნაკლების დედა ვატირეო და გადაწყვიტა, მიშისტური შოუების კონცერტი, ზუგდიდში წააყვანინოს ჟან რენოს და ფილიპ ნუარეს...

● ბ-ლანჟე (მახვილით „ბ“-ზე), ნაციონალების ინტელექტუალური მხარდამჭერების საფირმო ნიშანია?

● საქართველოში, მოგეხსენებათ, არის ოთხი სეზონიო (გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი), ეს-ესაა განაცხადა ნატოსთან ერთობლივი წვრთნების ბაზის გახსნით გახარებულმა, გენერალური შტაბის უფროსის მოადგილემ, პატრიოტმა გენერალმა და — ემბარგოს და ღვინის გატანას მოსტ....ვნია პატრონიო, — გულში გაიფიქრა.

● რუსეთის ნართაულმა ემბარგოს შესახებ იმდენად გაახალისა ნაცმოძრაობა და მისი ძუძუმწოვარა პარტიები, რომ, გინდა არ გინდა, რუსული წყლის დასხმას დაემგვანა, მათ უგვანო წისქვილზე.

● რაიონებში რომ გაკეთდეს ფაბრიკები და ხალხის დასაქმება იქნას შესაძლებელი დარწმუნებული ვარ მაინც თურქულ პომიდორს გაყიდიან თბილისში.

● „რიჟა“ ყოფილა „რუსთავი-2“-ის მარგველა.

**ამოკრიბა**
**გია გაბრიჭიძე**

ბიზნესი

# მილიარდერმა თემურ ფსუტურმა პირი სამშობლოსკენ იბრუნა

### პეტერბურგელი ქართველი საქართველოში ჰიპერმარკეტების ქსელს ხსნის

**პეტერბურგელი ბიზნესმენი, მილიარდერი თემურ ფსუტური საქართველოში სამშენებლო ჰიპერმარკეტების ქსელს MaxHome გახსნის, რომელშიც 280 მილიონი დოლარის ინვესტირებას მოახდენს.**

რუსული მედიის ცნობით, პირველი ჰიპერმარკეტი თბილისში 2016 წელს გაიხსნება. მისი ფართობი 185 ათასი კვ. მეტრი იქნება. გავრცელებული ინფორმაციით, ჰიპერმარკეტის მშენებლობა უკვე დაწყებულია. ჰიპერმარკეტში განთავსებულ მაღაზიებში სამშენებლო მასალები და ავეჯი გაიყიდება. თემურ ფსუტური პირველ ჰიპერმარკეტში 80 მილიონ დოლარს დააბანდებს.

MaxHome-ის ჰიპერმარკეტების ქსელი ასევე გააერთიანებს 15 მაღაზიას, რომელიც საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში მდებარეობს და თემურ ფსუტურის კუთვნილებაშია. როგორც ქართველმა მილიარდერმა რუსულ მედიასთან საუბრისას განაცხადა, 2020 წლისთვის ის ქსელის გაფართოებას გეგმავს და MaxHome-ს სულ მცირე, 5 ჰიპერმარკეტი და 100 მაღაზია შეემატება.

რუსული მედიის ცნობით, ჰიპერმარკეტის საინჟინრო უზრუნველყოფას კიდევ ერთი პეტერბურგული სამშენებლო კომპანია „ჩრდილოეთ-დასავლეთი“ მოახდენს, რომელიც ასევე თემურ ფსუტურს ეკუთვნის. გავრცელებული ინფორმაციით, კომპანიამ ამ ზაფხულს საქართველოში გზების მშენებლობაზე რამდენიმე ტენდერი მოიგო, რომელთა ჯამური ღირებულება 10 მილიონი დოლარია. რუსულ მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, თემურ ფსუტურის კომპანია მომავალშიც აპირებს მონაწილეობის მიღებას საქართველოში, სახელმწიფო შესყიდვების კონკურსებში.

პარალელურად კი პეტერბურგის გზების მშენებლობის ბაზრიდან წასვლას გეგმავს. თუმცა, ბიზნესმენი აღნიშნავს, რომ პეტერბურგის ბაზრის დატოვებას მთლიანად არ აპირებს. „რუსეთში შექმნილი რთული ეკონომიკური ვითარებისა და რუბლის გაუფასურების ფონზე, ვცდილობ, შემოსავლის ალტერნატიული წყარო სხვა ქვეყნებში ვეძებო“, — აღნიშნა რუსულ მედიასთან საუბრისას თემურ ფსუტურმა.



თემურ ფსუტურის განცხადებით, ქართულ ბაზარზე მომგებიანია ბევრი მცირე შეკვეთის მიღება. მისივე თქმით, საქართველოში სახელმწიფო შესყიდვები უფრო მეტი გამჭვირვალობით გამოირჩევა, ვიდრე პეტერბურგში. სწორედ ამიტომ კომპანია „ჩრდილოეთ-დასავლეთმა“ საქართველოში უკვე გახსნა საკუთარი წარმომადგენლობა. რუსული მედიის ცნობით, კომპანიის რეგიონალური განვითარების დირექტორად კირილ მოსკალენკო დაინიშნა, რომელიც თავის დროზე პეტერბურგში, თემურ ფსუტურის კუთვნილი კომპანია „სტროი ინვესტის“ დირექტორი იყო.

თემურ ფსუტური საქართველოს მოქალაქეა, თუმცა, წლებია პეტერბურგში ცხოვრობს. რუსეთის „მეორე დედაქალაქშია“ დარეგისტრირებული მისი ყველა აქტივი, გარდა MaxHome-სა, ასევე პეტერბურგშია დარეგისტრირებული კომპანია „ჩრდილოეთ-დასავლეთისა“, რომელიც ამ ეტაპზე თითქმის სრულად საქართველოში „გადაბარგდა“. საერთო ჯამში, თემურ ფსუტურის აქტივების ღირებულება 3 მილიარდ რუბლზე მეტია.

**ვიქტორ გორდაძე**

ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია!

# დადგა სერიოზულად დაფიქრებისა და რეალური ნაბიჯების გადადგმის დრო!

## სახალხო-პატრიოტული კავშირის „რუსეთი ჩემი მეზობელიას“ – მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი

**ჩვენ, გამოცდილმა მესაზღვრეებმა, და ჩვენმა მრავალმა თანამოაზრემ, ვიფიქრეთ რა, რომ დადგა ჩვენი ქვეყნის ბედუკუღმართობის ობიექტურ მიზეზებზე სერიოზულად დაფიქრებისა და მისი ამ სავალალო მდგომარეობიდან რეალურად გამოსაყვანად, ენერგიული ნაბიჯების გადადგმის დრო, დავაარსეთ სახალხო-პატრიოტული კავშირი სახელწოდებით „რუსეთი ჩვენი მეზობელია“!**

ვიცით, ეს დასახელება უმრავლესობას უხეშად მოგხვდათ ყურში და, ალბათ, კიდეც გაიფიქრეთ — ესენი უთუოდ „რუსეთუმეები“ და „კრემლის დაქირავებული აგენტები“, ანუ სამშობლოს მოღალატეები არიან და ახლავე ჩაქოლვის ღირსნიცო! მაგრამ გთხოვთ, არ აჩქარდეთ და როგორც ყოველთვის, მოყვარე მტერში არ აგერიოთ, რადგან, კარგად გაანალიზების შემთხვევაში, მიხვდებით და კიდეც დარწმუნდებით, რომ ჩვენ არათუ მოღალატეები, არამედ, სწორედაც, სამშობლოს კეთილდღეობისთვის თავგანწირული ადამიანები ვართ; სხვანაირად, გიჟები უნდა ვყოფილიყავით, რომ ასე უშიშრად განგვეცხადებინა თქვენს წინაშე ის, რაც განვაცხადეთ, რადგან კარგად ვუწყოდით, თუ რა რეაქცია შეიძლებოდა მოჰყოლოდა არსებულ ვითარებაში ჩვენს ამ განცხადებას.

და გვინდა კვლავაც განგიცხადოთ, რომ ჩვენ არც ე. წ. რუსეთუმეები ვართ და არც რომელიმე ძალა — შინაური თუ გარეშე — ზურგს არ გვიმაგრებს. არამედ, მხოლოდ სიმართლის და თქვენი, უბრალო ხალხის იმედი გვაქვს, რადგან სიმართლე თქვენთვის ჯერ არავის გაუმხელია და, დიახაც, დღემდე სწორედ თქვენი მოტყუების ხარჯზე, ყველანი საკუთარი ქვეყნისთვის საზიანო საქმეს თქვენივე ხელით გაკეთებინებდნენ და მიზეზად სხვადასხვა მტრის ხატებს გიხატავდნენ, ანუ მხატვრულად რომ ვთქვათ, თქვენს ერთიან ძალასა და ენერგიას მხოლოდღა „ქარის წისქვილებთან“ ბრძოლაში გახარჯვინებდნენ და ამასობაში, თავიანთ მერკანტილურ ზრახვებს დაუსჯელად იკმაყოფილებდნენ. ამიტომაც გადავწყვიტეთ, ჩვენ თქვენთვის „მწარე სიმართლე“ გაგვეცხადებინა საკუთარი თავგანწირვის ფასად, რადგან ასეთ ცხოვრებას სიმართლისთვის და სამშობლოსთვის ერთხელ სიკვდილი, ვფიქრობთ, რომ ათასწილად სჯობს!

სიმართლე კი ის გახლავთ, რომ დავუშვათ და, რუსეთი თუნდაც ჩვენი ნამდვილი მტერი რომც იყოს, იგი მაინც „ჩვენი მეზობელია“, ეს ფაქტია; და თუკი მის განადგურებას მართლა შესძლებენ ის ფარული ძალები, რომლებიც ამას მხოლოდღა მისი მეზობელი ხალხების გაბრიყვებით და მათივე საზარბაზნე ხორცად გამოყენებით ცდილობენ ისე, რომ თვითონ მხოლოდ „შეშფოთებული“ გარე დამკვირვებლის როლში გამოდიან, ხოლო სინამდვილეში ცდილობენ ორივე მხარის იარაღით მომარაგებაში ისევ ფული იშოვონ და გამდიდრდნენ, იცოდეთ, რომ რუსეთთან ერთად ჩვენც დავიღუპებით უეჭველად. ხოლო თუკი რუსეთის რაღაც ნაწილი მაინც გადარჩება მისი უაღრესად დიდი ტერიტორიების გამო, ჩვენი პატარა სამშობლო საქართველოდან სახსენებელიც კი აღარ დარჩება! უბრალო მაგალითი — ჩვენი კარის მეზობელი ჩვენი მოსისხლე მტერიც რომ იყოს, მასთან ხანძრის გაჩენის შემთხვევაში უფრო გონივრულია, თავგანწირვითაც კი შევეცადოთ მასთან ხანძრის ჩაქრობას, რათა იგი ჩვენზე არ გადმოვიდეს და ორივე ერთად არ ამოგვბუგოს! და ამასთანავე, დღევანდელ სიტუაციაში, თუ კარგადაც დავფიქრდებით, რუსეთს უფრო აწყობს კეთილმეზობლურად განწყობილი ქვეყნების გარემოცვაში თვითონაც კეთილმეზობლურად იცხოვროს მათთან ერთად, ვიდრე აგრესიული ნატოს ალყაში მოექცეს და იძულებული გახდეს საკუთარი თავგანწირვის ფასად მთელი მსოფლიოც გაიმეტოს გასაწირად; რაც მას, მოგეხსენებათ, არც გაუჭირდება, თუკი იძულებულს გავხდით; და ასეთ შემთხვევაშიც, ჩვენ მაინც წაშლილი აღმოვჩნდებით მსოფლიოს რუკებიდან!

ამდენად, გვიჯობს, კარგად დავფიქრდეთ და ჯერ ნამდვილი მტრისა და მოყვრის გარჩევა ვისწავლოთ, ხოლო შემდეგ ყველაფერი კარგად ავწონ-დავწონოთ და მერე ერთობლივი ძალისხმევით, სამშობლოსათვის ნამდვილად სასიკეთო საქმის გასაკეთებლად ნაბიჯი წინ თამამადაც გადავდგათ; და არც თავი დავიშუროთ, თუკი დავრწმუნდებით, რომ ეს ნაბიჯი მართლაც უტყუარი იქნება და, რაღა თქმა უნდა, დღემდე ჩვენს მიერვე ჩვენსავე საზიანოდ დაღვრილი სისხლისა თუ უაღრესად დიდი ზიანის საპირისპიროდ, ქვეყნისათვის სიკეთის გარანტირებულადაც მომტანი!

ამაში კი, ვფიქრობთ, ჩვენ დაგეხმარებით, რამეთუ უკვე მაღალ მეცნიერულ



დონეზეც კი გვაქვს გაანალიზებული, თუ ვინაა ჩვენთვის ისტორიულადაც კი, ნამდვილი მტერი და ისიც, თუ ვის, თუ რას, შეუძლია ჩვენთვის ჭეშმარიტი კეთილდღეობის მოტანა (მალე გაგაცნობთ ჩვენი ორგანიზაციის გამგეობის პირველ სხდომაზე თავმჯდომარის მიერ წაკითხულ საინფორმაციო-ანალიტიკურ მოხსენებას, რომელშიც ეს ყველაფერი დაწვრილებითაა აღნიშნული). ჩვენი ამოცანაა, თქვენთან ერთად, სწორედ მთელი მსოფლიოს ხალხებს და მათ შორის რუსებსაც დავანახვოთ ნამდვილი მტრისა და მოყვრის ჭეშმარიტი სახე და, შესაბამისად, ყველასთან სამშვიდობოდ გაერთიანებაც შევძლოთ საბოლოოდ;

ეს აუცილებელია, რამეთუ ხალხები ერთმანეთის ნამდვილი მტერი არც არასდროს ყოფილა და არც იქნებიან; ხოლო მათი ჭეშმარიტი მტრები ყველა ხალხშივე არსებული ის უმცირესი ნაწილია, რომლებიც მთელს მსოფლიოშივე „მაფიოზური ერთობით“ არიან გაერთიანებულნი და, ხელთ უპყრიათ რა მთელი პლანეტის თითქმის მთელი სიმდიდრე, რაღა თქმა უნდა, არ სურთ ხელიდან გაუშვან მთელი მსოფლიოს საკუთარ ნებაზე მართვის ეს უძლიერესი იარაღი და ყოველგვარი, დასაშვები თუ დაუშვებელი ხერხებით, ცდილობენ და ახერხებენ კიდეც, ხალხთა მასების გაბრიყვებითა და სხვების მტრის ხატად დახატვის მეშვეობით, ადვილად გაუწიონ უმრავლესობის შრომას ექსპლუატაცია ისე, რომ ხალხს მხოლოდ საგნებად მიიჩნევენ და არაფრად აგდებენ მათ ადამიანურ გრძნობებსა თუ მოთხოვნილებებს! ამიტომ, ჩვენი ვალია, ყველგან, ყველა ქვეყანაში, გამოვავლინოთ და ვამხილოთ აღნიშნული ძალები და ყველა ქვეყნის დაჩაგრულ ხალხთა ძალების გაერთიანებით, წინ აღვუდგეთ სიმდიდრის ძალით ძნელად დასამარცხებელ მონსტრად გადაქცეულ ამ ერთადერთ, რეალურ მტერს მთელი კაცობრიობისას!

**აი, მოკლედ იმის შესახებ, თუ ვინა ვართ და რა ვალდებულება ავიღეთ საკუთარ თავზე, რაღა თქმა უნდა, საკუთარივე სიცოცხლის რისკის ფასად. ხოლო უფრო ვრცლად და დაწვრილებით, ოფისში გესაუბრებით ყველას, ვინაც დაინტერესდებით და მოგვაკითხავთ ქ. თბილისში, თავისუფლების მოედანთან ახლოს, ლეონიძის 10 ნომერში.**

**რამაზ ლურსმანაშვილი,**
**სახალხო-პატრიოტული კავშირის — „რუსეთი ჩემი მეზობელიას“ დამფუძნებელი და გამგეობის თავმჯდომარე**

პრემიერი

## პირადად მე ვიყავი და ვარ წინააღმდეგი, რომ საქართველო რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს მიუერთდეს!

**ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტებს იმ კითხვის საპასუხოდ განუცხადა, ხომ არ უკავშირებს „როსპოტრებნაზდორის“ განცხადებას და საქართველოსთვის ემბარგოს შესაძლო დაწესების შესახებ ინფორმაციას საქართველოს ევროკავშირის სანქციასთან მიერთებას?**

**ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გუშინ გააკეთა განცხადება, შეისწავლიან ღვინისა და ნებისმიერი სხვა პროდუქციის ხარისხს, რომელიც რუსეთში გადის და თუ რაიმე კითხვები იქნება, გაარკვევენ.**

**„პირადად ჩემი, როგორც მთავრობის მეთაურის პოზიცია არის შემდეგი, მე ვიყავი და ვარ წინააღმდეგი, საქართველო მიუერთდეს ევროკავშირის მიერ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს. ჩვენ ეს პოზიცია გვქონდა გასულ წელს და გვაქვს იგივე პოზიცია ახლაც. არ ვაპირებთ ამ პოზიციის შეცვლას. 15-დან ერთადერთი სანქცია, რომელსაც შეუერთდა საქართველო გასულ წელს, შეეხებოდა მხოლოდ ყირიმსა და სევასტოპოლში წარმოებულ პროდუქტის ექსპორტზე დაწესებულ სანქციებს. მოგეხსენებათ, ჩვენ იგივე მდგომარეობაში ვიმყოფებით, ჩვენ გვაქვს პრობლემა ჩვენს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. ჩვენ იმავეს ვითხოვთ დანარჩენი სახელმწიფოებისგან. ჩვენი არაღიარების პოლიტიკიდან გამომდინარე, ეს იყო გარდაუვალი აუცილებლობა. სხვა სანქციებზე გვქონდა მსჯელობა მთავრობის შიგნით გასულ წელს და გადავწყვიტეთ, რომ არ ვაპირებთ, შევუერთდეთ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს. ეს გადაწყვეტილება რჩება ძალაში“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.**

**მისივე თქმით, ამ გადაწყვეტილების რამდენიმე მიზეზი არსებობს, პირველ რიგში ის, რომ „ძალიან ვუფრთხილდებით იმ მონაპოვარს, რომელიც უკვე გვაქვს რუსეთ-საქართველოს შორის სავაჭრო ურთიერთობების აღდგენის სახით“.**

**საქართველოს პრემიერის თქმით, სავაჭრო ურთიერთობების მიმართულებით საქართველოს მნიშვნელოვანი წინსვლა გვაქვს.**

**„წლების წინათ სააკაშვილის გაუაზრებელი პოლიტიკის გამო გაწყვეტილი დიალოგის შემდეგ, ჩვენი პრაგმატული პოლიტიკის გზით შევძელით, ბაზრის ხელახლა გახსნა და ამას ვაფასებთ. ასე რომ, მე ვფიქრობ, რაღაც გაუგებრობას ჰქონდა ადგილი. ეს არ არის ახალ სანქციებზე მიერთება“, —განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.**

ინტერპრესი

გაამართლებს მინისტრის ვარაუდი?

# ოთარ დანელია: ქართულ პროდუქციაზე ხელახალი ემბარგოს საფრთხე არ არსებობს

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრ ოთარ დანელიას აზრით, რუსეთის მიერ ქართულ პროდუქციაზე ხელახალი ემბარგოს დაწესების საფრთხე არ არსებობს.**

როგორც დანელიამ ჟურნალისტებს „როსპოტრებნადზორის“ განცხადების შეფასებისას განუცხადა,



ქართული მხარე ძალიან პროაქტიურად უდგება ამ საკითხს — მიუხედავად იმისა, რომ ქართული პროდუქცია ბევრ ქვეყანაში გადის და ჯერჯერობით რაიმე ხარვეზი არ ყოფილა, ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ და შევისწავლოთ აღნიშნული პრეტენზიები. **„გვინდა, ვიყოთ მაქსიმალურად ობიექტურები. შესაბამისად, ჩვენ გუშინ დავაანონსეთ, რომ დავიწყეთ მოკვლევა. ჯერჯერობით ეს გავს მხოლოდ გაუგებრობას. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს რაიმე სერიოზულში არ გადაიზრდება. ქართული პროდუქცია გადის მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, ამერიკაში, აზიაში, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში და ჯერ რაიმე ხარვეზი არ ყოფილა. მაგრამ, ჩვენ, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ და შევისწავლოთ, რომ გამოვრიცხოთ ნებისმიერი ხარვეზი“,** — განაცხადა მინისტრმა.

რაც შეეხება იმას, გამართლებული იყო თუ არა რუსეთის ბაზარზე დაბრუნება, დანელიას თქმით, გამართლებულია ყველა ბაზარზე შესვლა, რაც შეეხება რისკებს, იგი ასევე ყველა ბაზარს შეიძლება თან ახლდეს, ამიტომ ქართულმა მხარემ ჯერ კიდევ შარშან დივერსიფიცირების პოლიტიკა დაიწყო.

**— სწორედ ამიტომ დავიწყეთ დივერსიფიცირების პოლიტიკა და შედეგებიც გვაქვს. სხვა შემთხვევაში ჩვენ გვექნება ძალიან ცუდი სურათი ექსპორტის თვალსაზრისით,** — განაცხადა ოთარ დანელიამ.

მისივე თქმით, „როსპოტრებნადზორის“ განცხადებასთან დაკავშირებით, ქართული მხარის მოკვლევის შესახებ პირველადი ინფორმაცია დღეს ან ხვალ გახდება ცნობილი. რუსულმა საინფორმაციო სააგენტოებმა ორი დღის წინათ გაავრცელეს ინფორმაცია, რომ ქართველი მეღვინეები სისტემატურად არღვევენ ტექნოლოგიებს, ქვეყნის მაკონტროლებელი ორგანოები კი, არასაკმარისად აკონტროლებენ გამოშვებულ პროდუქციას. **„ხარისხის ანალიზი და მოწოდებული პროდუქციის უსაფრთხოება ადასტურებს წარმოების ტექნოლოგიის დარღვევებსა და არასაკმარის კონტროლს გამოშვებულ პროდუქციაზე როგორც მწარმოებლის, ისე საქართველოს ხელისუფლების პასუხისმგებელი ორგანოების მიერ“,** — განაცხადეს რუსეთის სანიტარიული უწყების პრესსამსახურში.

**უწყების ცნობით, 2015 წელს რუსეთში საქართველოს 45 მწარმოებლის მიერ მთლიანობაში 6,7 მილიონი ლიტრი პროდუქცია შევიდა, საიდანაც პროდუქციის 10 პარტია გამოვლინდა (კონიაკი „ძველი კახეთი“, „კოლხიდა“, „საფერავი“), რომლებიც ნორმატიული დოკუმენტაციის მოთხოვნებს არ შეესაბამებოდა. მათივე ინფორმაციით, პროდუქციის ყველა პარტია, რომელიც მოთხოვნებს არ აკმაყოფილებდა, რუსეთის ტერიტორიაზე არ დაუშვეს. გარდა ამისა, რუსეთის მიმართ ევროკავშირის სანქციებთან შეერთების გამო, მოსკოვში არ გამორიცხავენ, რომ საქართველოს მიმართ კონტრზომები გატარდეს.**

ირაკლი კახეთელიძე

# რვიანიდან გაგდებული, „ჩამოლაბორანტებული“ რუსეთი ზესახელმწიფო აღარ არის?

## ახალი მსოფლიო და საქართველო



**XXI საუკუნეში ზესახელმწიფოების (აშშ, რუსეთი, ჩინეთი) დაპირისპირება ძალიან დაემგვანა სერჯიო ლეონეს ცნობილი ფილმის — „კარგი, ცუდი, ბრაზიანის“ — ფინალს, სადაც დაპირისპირებულთა სამკუთხედს ის წევრი გამოეთიშა, ვინც პირველმა გაისროლა. რუსეთმა, რომელიც ყველაზე სუსტი რგოლია სამკუთხედში (მას მხოლოდ ბირთვული იარაღი და უზარმაზარი ტერიტორია ანიჭებს ზესახელმწიფოს სტატუსს), პირველმა გაისროლა (საქართველოში 2008 წელს და უკრაინაში 2014 წელს), და ეთიშება კიდეც გლობალურ ასპარეზს.**

რუსეთისთვის გლობალური ასპარეზის დატოვება არ ნიშნავს მხოლოდ რანგით ჩამოქვეითებას, როგორც ეს მოხდა დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის ან გერმანიის შემთხვევაში. 90-იანი წლების წარუმატებელმა სახელმწიფო მშენებლობამ რუსეთის პოლიტიკური ელიტა საბოლოოდ დაარწმუნა, რომ რუსეთი ვერ გარდაიქმნება ნაციონალურ სახელმწიფოდ — იგი ან იქნება ზესახელმწიფო (Держава), ან დაიშლება და დაასრულებს არსებობას, როგორც ერთიანი სახელმწიფო.

სწორედ მოსალოდნელმა აპოკალიფსურმა ფინალმა (1989-2010 წლებში იმპერიამ დაკარგა აღმოსავლეთ ევროპა, მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკები, პოზიციები ახლო აღმოსავლეთში, 2013-2014 წლების ზამთარში უკრაინაც გამოვიდა მისი გავლენიდან, წინ აშკარად გამოიკვეთა კოლაფსის კონტურები), აიძულა რუსეთი გამოსულიყო საფარიდან და დაეწყო ბრძოლა არსებობისათვის — უმოქმედობით დაღუპვას გაბრძოლება არჩია. სამხედრო კონფლიქტი უკრაინაში სწორედ ამ ბრძოლის ფრაგმენტია. რუსეთი სინამდვილეში უმძიმესი გამოცდის წინაშე დგას. ალტერნატიული შედეგი ორია, როგორც რუსები იტყვიან: или пан, или пропал.

რუსეთმა შეგნებულად აჭრა პოსტცივიომისეული სამყარო, რომელიც დამყარდა ბერლინის კედლის დანგრევისას და ხასიათდებოდა ზესახელმწიფოთა მიერ იალტისა და ჰელსინკის ძირითადი პრინციპების დაცვით. ამჯერად დაირღვა მეორე მსოფლიო ომის შედეგად დამყარებული წესრიგი და დაიწყო ახალი ეტაპი, რომელმაც წინ წამოსწია მსოფლიოში მიმდინარე მანამდე მიჩუმათებული უმნიშვნელოვანესი პროცესები.

### ცივილიზაციური ჩამორჩენა

**პროტესტანტული ეთიკა, რომელიც XIX საუკუნეში კაცობრიობის განვითარების ლოკომოტივი იყო, მაქს ვებერის წინასწარმეტყველების მიუხედავად, არ აღმოჩნდა ერთადერთი გამწევი ძალა.** XXI საუკუნისათვის ამ ძალას მიემატა შორეული აღმოსავლეთის ქვეყნები და დღეს უკვე ატლანტო-პაციფიკური წყვილი ეწევა განვითარების ჭაპანს. ცხოვრების ტემპს მეტნაკლებად აუბეს მხარი სამხრეთ ევროპამ და ლათინურმა ამერიკამ. ამ ბოლო დროს გამოჩნდა, რომ თურმე ინდოეთიც უნდა მივათვალოთ მზარდ ცივილიზაციებს. სამაგიეროდ, უიმედოდ ჩამორჩნენ (უფრო სწორად, ჩარჩნენ სტაგნაციის ჭაობში) შავი აფრიკა, არაბული სამყარო და რუსეთი. თუ შავი აფრიკის იმედი თვით აფრიკელებს არა აქვთ, არაბები და რუსები ცდილობენ ძალისმიერი მეთოდებით (ლოკალური ჰიბრიდული კონფლიქტები, ტერორიზმი, ბირთვული შანტაჟი) რამენაირად შემოატრიალონ მსოფლიო განვითარების ჩარხი.

**როგორც ევროპარლამენტის მკვლევართა ჯგუფმა დაადგინა, რუსეთი 50 წლით არის ჩამორჩენილი დასავლეთ ევროპისაგან. და ეს არ არის მიჯნა - ჩამორჩენა იზრდება და მანძილი მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებსა და რუსეთს შორის სულ უფრო დაუძლეველი ხდება (რუსეთის ყოფილი ფინანსთა მინისტრი კუდრინი თვლის, რომ რუსეთი ველარასოდეს დაეწევა მოწინავე ქვეყნებს). ყოველივე ეს რუსეთის წინაშე მთელი სიმწვავით აყენებს გამოდევნებითი მოდერნიზაციის აუცილებლობას. მაგრამ ვ.პუტინი ყურებსაც არ იპარტყუნებს და არად აგდებს ქვეყნის ეკონომიკის კატასტროფულ მდგომარეობას (პირიქით, იგი საჯაროდ ირწმუნება, რომ ქვეყანაში კრიზისი არ არის), ფუჭად გაანიავა რა მაძღარი 15 წლის მთელი მონაპოვარი, არ სურს გაატაროს ძირეული რეფორმები.**

კრემლის ინერტულობა ორი ფაქტორით თუ შეიძლება აიხსნას. პირველი, იგი მოექცა ილუზიის ტყვეობაში, რომ მას მოდერნიზაცია არ სჭირდება — მდიდარი ბუნებრივი რესურსები, ნავთობსა და გაზზე მაღალი ფასები, რის საშუალებითაც მოახდინა ეკონომიკური წარმატების იმიტაცია (ლოიალური ჩინოვნიკების გამდიდრება, მოქალაქეთა საყოფაცხოვრებო სტანდარტის გაუმჯობესება, სამხედრო ძლევამოსილების დემონსტრირება), ამის საფუძველს აძლევდა და დღესაც ამ ილუზიით იკვებება. და მეორე, დაწესებულმა სანქციებმა სრულიად გამორიცხა ინოვაციური ტექნოლოგიების წვდომა, ურომლისოდაც შეუძლებელია მოდერნიზაციაზე ფიქრიც კი (არ დაგვავიწყდეს, რომ საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაცია ამერიკისა და გერმანიის მძლავრი ტექნოლოგიური და ტექნიკური დახმარებით განხორციელდა, რასაც საბჭოთა პროპაგანდა უმალავდა ხალხს).

### რუსეთის იმპერიის გახანგრძლივებული დაშლა

**აღმოჩნდა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა კვლავ გრძელდება და არავინ იცის ამ პროცესს როდის დაესმევა წერტილი.**

ეს არ არის უცხო მოვლენა — დიდი იმპერიების დაშლა, როგორც წესი, გრძელვადიანი პროცესია (რომის იმპერია, ბრიტანეთის, ავსტრიისა და ოსმალეთის იმპერიები). ბალკანეთი იმიტომაც წარმოადგენს ევროპის დენთის კასრს, რომ არ დამთავრებულა ავსტრიისა და ოსმალეთის იმპერიების დაშლა. თან, დაშლილი ნაწილები შემდგომ კიდევ იშლება ხოლმე (ინდოეთის, პაკისტანის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, ერაყ-სირიის დაშლა, ქურთთა ფორიაქი). შოტლანდიის ამასწინანდელი რეფერენდუმიც ამ პროცესის გამოხატულებაა.

რუსეთის ცარისტული იმპერია, რომელიც უზარმაზარ ტერიტორიაზე გადაჭიმულ მრავალეთნიკურ და მრავალკონფესიურ სახელმწიფოს წარმოადგენდა, განწირული იყო ეროზიისთვის. რღვევის პროცესი გამოაშკარავდა და გამწვავდა თებერვლის რევოლუციის შედეგად. მხოლოდ ბოლშევიკების არნახულმა ტერორმა და ათეიზმზე დაფუძნებულმა კომუნისტური ინტერნაციონალიზმის იდეოლოგიამ შესძლო იმპერიის ახალი იპოსტასით (საბჭოთა კავშირი) შენარჩუნება მთელი 70 წლით და უზარმაზარი მსხვერპლის ფასად. როგორც კი დასრულდა კომპარტიის ბატონობა და ტერორი, მაშინვე დამთავრდა საბჭოთა კავშირიც. რუსი ექსპერტ-პოლიტიკოსები, დეტალურად განიხილავენ რა იმპერიის დაშლის მიზეზებს (პირველ ადგილზე, რასაკვირველია, შეთქმულების თეორია იმყოფება), საერთოდ გვერდს უვლიან ისეთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, როგორიც არის მრავალეთნიკურობა.

საბჭოთა კავშირის ნაწილების შემდგომი დაშლა ახალ სიურპრიზებს მოგვიტანს. საქართველოზე და უკრაინაზე თავდასხმით პუტინმა ფაქტობრივად პანდორას ყუთს ახადა თავსახური (კონდოლიზა რაისი მართალი აღმოჩნდა, როცა ამას ეუბნებოდა პუტინს 2008 წელს), რაც საბოლოო ჯამში რუსეთს დააზარალებს.

### პოსტ-ვესტფალური სამყარო

**აშკარა გახდა, რომ არსებული მსოფლიო წესრიგი (Pax Yaltica) ველარ პასუხობს რეალობას. წესრიგი ემყარებოდა მეორე მსოფლიო ომის შედეგად შექმნილ რეალობას — ორი ზესახელმწიფოს დაპირისპირება-გაწონასწორებას (ბიპოლარული მსოფლიო). XXI საუკუნისათვის სიტუაცია ძირეულად შეიცვალა.**

**მსოფლიო აღარ არის ბიპოლარული. როგორც აღმოჩნდა, ვაშინგტონს არ შეუძლია და არც სურს პასუხისმგებლობა აიღოს მსოფლიო წესრიგზე. არც ჩინეთი დათანხმდა ვაშინგტონის წინადადებას, ერთად ეკისრათ პასუხისმგებლობა. მულტიპოლარული მსოფლიო, რაც უნდა რუსეთს და წამდაუწუმ ძადაგებს მის შესახებ, აშკარად განუხორციელებელია, უპირველეს ყოვლისა, რუსეთის „ჩამოლაბორანტების“ გამო — იგი აღარ მიეკუთვნება ზესახელმწიფოთა რიგს (პირიქით, რვიანიდანაც გააგდეს).**

ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ ევრაზიის კონტინენტზე გაჩნდა უამრავი სახელმწიფო, რომელთაც არ სურთ პაზლებივით ჩაჯდნენ იალტისეულ გავლენის სფეროებში, რასაც დაჟინებით ითხოვს რუსეთი. მართალნიც არიან: თუ მაინცდამაინც გავლენის სფეროებით უნდა იქნეს ამ ახალი სახელმწიფოების სუვერენიტეტი გაპირობებული, მაშინ დაე მიეცეთ მათ არჩევანის თავისუფლება. ამ სახელმწიფოთა უმეტესობა იმიტომაც მიისწრაფვის ნატოსკენ (აზიის ქვეყნები უფრო ჩინეთის ფაქტორს იშველიებენ), რომ თავი დაიცვან რუსეთის ტერიტორიული პრეტენზიებისაგან.

გლობალიზაციამ აშკარად შეასუსტა სახელმწიფოს ინსტიტუტი, რაც XVII საუკუნეში დაამკვიდრა ვესტფალიის ზავმა (სცნო იგი საერთაშორისო სამართლის სუბიექტად, გვირგვინოსანთა სანაცვლოდ). ერთი მხრივ, ზესახელმწიფოურმა ორგანიზაციებ-



მა გადაიბარეს სახელმწიფოთა სუვერენიტეტის ღირებული ნაწილი, რასაც მზარდი ტენდენცია გააჩნია. პარალელურად წარმოიქმნა საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ინტერნეტ-კომპანიების გლობალური კონგლომერატი, რომელიც იმდენად მძლავრი ტექნოლოგიების მფლობელი აღმოჩნდა, რომ სახელმწიფოებს აღარ ეპუება. და ბოლოს, რაც განსაკუთრებით შემაშფოთებელია, გაჩნდნენ ტრანსნაციონალური ანტისახელმწიფოებრივი ტერორისტული მოძრაობანი („ბოკო ჰარამ“, „ისლამური ხალიფატი“), რომელნიც საერთაშორისო სამართლის მიღმა იმყოფებიან და უდიდეს საფრთხეს უქმნიან მსოფლიო წესრიგს.

ასეთ პირობებში წაგებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ის ქვეყნები, რომლებმაც ვერ შესძლეს ჩამოყალიბებულიყვნენ სრულყოფილ სახელმწიფოებად — ჭეშმარიტად, ვაი ვერშემდგარ სახელმწიფოებს! (სამწუხაროდ, მათ შორის არის საქართველო).

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იმყოფება რუსეთი, რომელიც ბირთვული იარაღის ფლობის და ჰიპერტროფული ამბიციის მიუხედავად, ვერშემდგარი სახელმწიფოა. კრემლში დღემდე ვერ გაურკვევიათ საკუთარი ადგილი: ევროპული ქვეყანაა თუ აზიური, სლავური თუ თურქული. ორთავიანი არწივის შესაბამისად, კრემლს სურს ორივე იყოს (აქედან მოდის ევრაზიელობა), მაგრამ არ იცის რა მოუხერხოს რუსთა უარყოფით დემოგრაფიულ ბალანსს (უკანასკნელი ყურბან ბაირამის დროს ყაზანის მუფთიმ საჯაროდ განუცხადა მრევლს: „რუსეთი ჩვენი სახელმწიფოაო“?!). აქედან მომდინარეობს მისი პრობლემების დიდი წილი — მას არ გააჩნია ადამიანური რესურსი ამოდენა ქვეყნის სამართავად.

ორი ვერშემდგარი სახელმწიფოს — რუსეთსა და საქართველოს — შორის განსხვავება ის არის, რომ ვერშემდგარი საქართველო ჩვენი უბედურებაა, ხოლო ვერშემდგარი რუსეთი უბედურებაა რუსებისათვის და საფრთხეა მსოფლიოსათვის.

ორი ვერშემდგარი სახელმწიფოს — რუსეთსა და საქართველოს — შორის განსხვავება ის არის, რომ ვერშემდგარი საქართველო ჩვენი უბედურებაა, ხოლო ვერშემდგარი რუსეთი უბედურებაა რუსებისათვის და საფრთხეა მსოფლიოსათვის.

ერთი რამ უკვე ცხადია: როგორც არ უნდა დამთავრდეს კონფლიქტი უკრაინაში, მსოფლიო იგივე ვეღარ დარჩება. პოსტცივიომისეული სამყარო გამთავრდა.

## დიდი ახლო აღმოსავლეთი – ომის თეატრი

**სადღეისოდ შეიარაღებული კონფლიქტები (აშკარა თუ მინელებული) უზარმაზარ ტერიტორიას მოიცავს. აღმოსავლეთ უკრაინა, ყირიმი, დნესტრისპირეთი, ბალკანეთი ჩრდილოეთ კავკასია, საქართველო, სომხეთ-აზერბაიჯანი (ყარაბაღი), არაბული ქვეყნები, ქურთისტანი, შუა აზია (აქ ყველაფერი წინაა), ავღანეთი, პაკისტანი, ყველა ერთად სინამდვილეში ერთი დიდი ომის ვეებერთელა თეატრია — ე.წ. დიდი ახლო აღმოსავლეთი. იგია თანამედროვე მსოფლიოს ყველაზე არასტაბილური რეგიონი — locus minoris resistencia. რეგიონის ფეთქებადსაშიშროება უპირატესად იმან განაპირობა, რომ აქ არსებულ სახელმწიფოთა უმეტესობა (უკრაინა, შუა აზია, ჩრდილოეთ კავკასია, არაბული სახელმწიფოები) ერის ჩამოყალიბებისა და ერთაშორისი ურთიერთობის ბუნებრივ შედეგს კი არ წარმოადგენს, არამედ ევროპისა და რუსეთის მყუდრო კაბინეტებშია რუკაზე დახატული და გადანაწილებული.**

საბედნიეროდ, დიდ ახლო აღმოსავლეთში არიან მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების მქონე სახელმწიფოებიც, რომლებიც მრავალგვარ საერთაშორისო ინტრიგებში აქტიური მონაწილეობის მიუხედავად, ნამდვილად ვერ მოითმენენ ისეთი ანტისახელმწიფოებრივი და უპასუხისმგებლო ძალების პარპაშს, როგორიც ისლამური ხალიფატია. ეს სახელმწიფოებია: ეგვიპტე, ირანი და თურქეთი. მათ ნაკლებად ემუქრებათ დეზინტეგრაცია და, ამდენად, მათი როლი რეგიონში, სავარაუდოდ, გაიზრდება (თურქეთისთვის თავის ტკივილია ქურთების პრობლემა. თუმცა, არა გვგონია, უახლოესი მომავლის ფარგლებში ანკარამ თავი ვერ გაართვას ამ გამოწვევას).

## საქართველო – პრობლემების თაიგული

**საქართველო, ცივილიზაციური ჩამორჩენით, სახელმწიფოს მოუწყობლობით, საბჭოური მემკვიდრეობით, კონფესიური მოუწესრიგებლობით და, რაც მთავარია, გეოპოლიტიკურად, არასტაბილური პროცესების ეპიცენტრში იმყოფება (კი ვიწონებთ თავს ევროპელობით, მაგრამ გეოგრაფიას გვერდს ვერ ავუვლით — ახლო აღმოსავლეთია ჩვენი საცხოვრისი). შესაბამისად, გლობალური პროცესების დავიდარაბას ძნელად თუ დავაღწევთ თავს.**

არსებულ ვითარებაში დღევანდელი ჩვენი ხელისუფლების საგარეო „ჩაურევლობა“ წარმატებულ პოლიტიკადაც კი შეიძლება მივიჩნიოთ (მიუხედავად იმისა, თუ რა წარმომავლობისაა ეს „ჩაურევლობა“ — ბრძნული გათვლა თუ უმეცრის სიფრთხილე). ოღონდ ესაა, „ჩაურევლობის“ პოლიტიკა დროებითი დივიდენდების მომტანია მხოლოდ. სამშვიდობოზე იგი ვერ გაგვიყვანს. აუცილებელი იქნება თანდათანობით აქტიურ პოლიტიკაზე გადასვლა.

რაც მთავარია, უნდა შევეშვათ პატრონის ძებნის მავნე პრაქტიკას, რაც კონსტანტინოპოლის დაცემიდან მოყოლებული ქართულ საგარეო პოლიტიკის მეინსტრიმად იქცა, და კავშირი შევკრათ ისეთ პარტნიორთან, რომელთან ურთიერთობაც ორმხრივ პასუხისმგებლობაზე იქნება დამყარებული. ეს არ არის შეუძლებელი. საქართველოს ჯერ კიდევ გააჩნია გეოპოლიტიკური ღირებულება. მთავარია, თავი ღირსეულად დავიჭიროთ და „ჭ“ კლასის ჩინოვნიკის წინაშე მიწას არ გავერთხათ. გვახსოვდეს, რომ როგორც მოვიქცევით, ისე მოგვექცევიან. შევხედოთ აფხაზებს. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურად, ეკონომიკურად და სამხედრო თვალსაზრისით მთლიანად რუსეთზე არიან დამოკიდებულნი, არ აძლევენ უფლებას მოსკოვს დაარღვიოს წითელი ხაზი. წარმოუდგენელია აფხაზების ამგვარმა მოქმედებამ არ მოახდინოს შთაბეჭდილება მსოფლიოს პოლიტელიტაზე. მათთან შედარებით ცხინვალის ხელისუფალნი სრული არარაობანი არიან.

დიდი მნიშვნელობა აქვს ურთიერთობას ჩვენს მეზობლებთან. მოვლენები ისე ვითარდებიან, რომ ამ ურთიერთობის ფასი გაიზრდება. ეს ეხება ურთიერთობას არა მხოლოდ მეზობელ სახელმწიფოებთან, არამედ მეზობელ ერებთანაც.

**ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოს გარშემო შექმნილ ახალ ვითარებას. საბჭოთა კავშირის დაშლისა და თურქეთ-ირანის გაძლიერების შედეგად ჩვენი ქვეყანა მოექცა ისეთივე სამკუთხედში, როგორშიც იმყოფებოდა XVIII საუკუნეში — რუსეთს, ირანს და თურქეთს შორის (ამერიკა და ჩინეთი ჩვენგან შორს იმყოფებიან). რადგან ხელახალი სვლის შანსი მოგვეცა (ასეთი ბედნიერება კი ყველას არ რგებია), ეგების ამჯერად უკეთესად ვითამაშოთ.**

**გურამ სანადირაძე**

◉ ფინანსები და მართვა

# გამარტივებული შესყიდვები კორუფციის აშკარა ელემენტებს შეიცავს

**ვინ გააკონტროლებს ბიუჯეტს?**

**საბიუჯეტო სახსრების ეფექტიან მართვას ამიერიდან მესამე სექტორი გააკონტროლებს. ევრაზიის თანამშრომლობის ფონდმა სერიოზული ფინანსები გამოყო სახელმწიფო სახსრების მონიტორინგის განსახორციელებლად. რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ უკვე მოიპოვა დაფინანსება პროექტის „თანამშრომლობა ბიუჯეტის გამჭვირვალობისთვის. სახელმწიფო ხარჯების სამოქალაქო მონიტორინგი საქართველოში“ განსახორციელებლად.**

საბიუჯეტო სექტორში ერთ-ერთი ყბადაღებული პრობლემა გამარტივებული შესყიდვებია. ბოლო წლებია, ტენდენცია თანდათანობით იკლებს, თუმცა, ეს საკითხი აშკარად დასარეგულირებელი და მისახედია. როგორც წესი, გამარტივებული შესყიდვები ხორციელდება სახელმწიფო და საზოგადოებრივი ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩასატარებლად. ანუ მაშინ, როცა ამა თუ იმ ღონისძიების განხორციელება აუცილებელია, დრო არ ითმენს და ამის გამო სასწრაფოდ ხდება შესყიდვა; მაგალითად, 13 ივლისის ტრაგიკული მოვლენების გამო, როცა გარკვეული ნივთების შესყიდვის საჭიროება დადგა. მაგრამ არის მომენტები, როცა არავითარი ასეთი აუცილებლობა არ დგას, მაგრამ მაინც ტენდერების, აუქციონებისა თუ კონკურსების გვერდის ავლით ხდება გამარტივებული შესყიდვები.

საია-ს წარმომადგენელი **სულხან სალაძე** ამბობს, რომ ამ საკითხზე ორგანიზაციამ კვლევა ჩაატარა და რიგ შემთხვევებში გამოიკვეთა სერიოზული ეჭვი — რამდენად იყო საჭირო გამარტივებული შესყიდვა. **„მილიარდ ლარზე მეტი არის დახარჯული გასულ წელს ადმინისტრაციული ორგანოებიდან გამარტივებული შესყიდვის მიზნით, აქედან 100 მილიონ ლარზე მეტი პარლამენტისა და სამინისტროების მიერ... მაგალითად, „დიდგორობის“ ჩასატარებლად შარშან და შარშანწინაც გამარტივებული შესყიდვის მეთოდი გამოიყენეს. არადა, ეს თარიღი ყოველთვის ერთსა და იმავე დროს ტარდება და ყველამ წინასწარ იცის... ასევე მოხდა 26 მაისის ღონისძიებებისთვის სუვენირების შესყიდვა გამარტივებული გზით. არც ეს ზეიმი ტარდება სპონტანურად. საახალწლოდ საჭირო ტკბილეულების შესყიდვაც ასევე დაჩქარებულ რეჟიმში მოხდა. თბილისის პარლამენტის შენობის რეაბილიტაციისთვისაც გამარტივებული შესყიდვა ჩატარდა. არადა, ჩვენი აზრით, არ იყო არაფერი საჩქარო, ვინაიდან დეპუტატებს ქუთაისის პარლამენტის შენობაში საქმიანობის განხორციელების საშუალება ჰქონდათ. მთავრობის სამართლებრივ აქტებსა და განმარტებით ბარათებში კი არ არის არანაირი დასაბუთება. ეს არის ცუდი მენეჯმენტის შედეგი“,** — აღნიშნა საია-ს იურისტმა.



ბუნებრივია, გამარტივებული შესყიდვების სისტემატური გამოყენება მის რაციონალურობას გამორიცხავს. რაც მთავარია, ის ხელს უშლის ჯანსაღ კონკურენციას. ანგარიშსწორება ხდება სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ კომპანიებთან, რომლის 90 პროცენტი წამგებიანია. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ გამარტივებული შესყიდვების მეთოდს გაკოტრებული სახელმწიფო კომპანიების შენახვის მიზნით იყენებენ. ეს მეთოდი არის დახურული სისტემა, რომელიც კორუფციის ელემენტებს შეიცავს.

ფინანსთა სამინისტროში განმარტავენ, რომ გამარტივებული შესყიდვების ფორმა გამოსწორდება. შემოდგომაზე კანონში უნდა შევიდეს ცვლილება, რომელშიც უფრო დეტალურად გაიწერება, თუ რას ნიშნავს სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობა. ასევე მკაცრად შემოწმდება გამარტივებული შესყიდვების სამართლებრივი საფუძველი.

რაც შეეხება ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის სხვა დეტალებს: ფონდის ინიციატივით შეიქმნა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა **პლატფორმა „თანამშრომლობა ბიუჯეტის გამჭვირვალობისთვის“,** რომელშიც ჯერჯერობით, სულ რამდენიმე ორგანიზაცია შედის: **საია, საქართველოს ეკონომისტთა ასოციაცია, საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი, და ბი-ემ-სი-ჩი...** მათ რამდენიმე საინტერესო სფერო დაინაწილეს. შეისწავლიან სახელმწიფო პროგრამას „აწარმოე საქართველოში“ შედეგებს, გააკონტროლებენ საყოველთაო ჯანდაცვის ბიუჯეტს ბათუმსა და გორში, თვითმმართველობის სერვისებს ქალაქ ოზურგეთსა და ოზურგეთის თემში, გამოიკვლევენ სუბსიდირების საკითხებს, რომელიც ძირითადად ბუნდოვანია... გაასაჯაროვებენ პრიორიტეტების დოკუმენტებს, რომელიც წინ უძღვის ბიუჯეტს, მაგრამ ხშირად მოსახლეობის ინტერესების არაადეკვატურია, მოხდება მოქალაქეთა ჩართულობის ანალიზი ბიუჯეტის განკარგვის პროცესში და სხვა... როგორც ვხედავთ, საკითხები საინტერესო და გლობალურია. ხოლო რამდენად ეფექტიანად იხარჯება ბიუჯეტი, ამის კონტროლი და ანალიზი საკმაოდ შრომატევადია...

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი მოუწოდებს, აქტიურად ჩაერთონ პროცესში ის არასამთავრობოები, რომლებსაც ამდაგვარი მონიტორინგის გამოცდილება უკვე აქვთ. პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ნოდარ ებანოიძე** მიესალმება არასამთავრობოთა ინიციატივას: **„თანხების ეფექტიანობის ვალდებულება კანონით არ რეგულირდება. ამიტომაც საჭიროც კი არის, სამოქალაქო საზოგადოებამ თავის თავზე აიღოს საბიუჯეტო თანხების ხარჯვის კონტროლი. ინტერესით მივადევნებ თვალს თქვენს მუშაობას და კვლევის შედეგებს დაველოდები“,** — აღნიშნა დეპუტატმა.

ფინანსთა სამინისტრომაც თანამშრომლობის სურვილი უკვე გამოთქვა. როგორც იქ აცხადებენ, **„საბიუჯეტო სისტემა კომპლექსური და რთული თემაა. ჩვენს მიზანს წარმოადგენს გამჭვირვალობა. მთავარია, გვქონდეს სწორი კომუნიკაცია და შეიზღუდოს სუბიექტური აღქმები, რათა მაქსიმალურად ობიექტური და რეალური ინფორმაცია მიეწოდოს საზოგადოებას“.**

**თეა მოსია**

№147. პარასკევი, 7 აგვისტო, 2015 წელი.

# კიდევ ერთხელ ცრუპენტელა კილაძიანთ ელისოზე

## 1. სირცხვილო, სად არის სიწითლე შენი?!

**2007 წლის 4 დეკემბერს, როცა „საქართველოს რესპუბლიკამ“ აი, ასე, მართლაც რომ საქვეყნოდ, ყველას დასანახავად და ყველას გასაგონად ჩამოჰკრა რისხვის ზარები, თქვენ, ჭორნალისტო ელისო კილაძე, ბონდო შალიკიანიდან კრაზანების საგუბერნიო ბუდეში ბრძანდებოდით გადაბარგებული და თანაპოლკელ „ცოცხოსან ნაცებთან“ ერთად იმ ხალხს ებრძოდით, ვინც სისხლიან 7 ნოემბერს გადაურჩა! აი, ჩვენი პასუხი თქვენს ცრუპენტელურ ბაქიბუქსა და იმ პროვოკაციულ შეკითხვასთან დაკავშირებით, თუ როდის და ბარიკადის რომელ მხარეს რა ადგილას იდგა გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“?**

საქართველოში, მათ შორის ქუთაისშიც, ყველამ ყველაფერი იცის.




არ გაბედო მორიგი ცრუპენტელობა და არ თქვა, იმერეთის გუბერნიაში „ნაციონალთა“ მაღალჩინოსანი არ ვყოფილვარო!

სირცხვილო, მართლაცდა სად არის სიწითლე შენი, თორემ ან ამის შეხსენება რატომ უნდა დაგჭირდეს, ან თუნდაც იმისა, თუ რატომ გაგაგდეს ნაციონალი გუბერნატორის ამალიდან და მერე რა მიზნითა და რისი „ხათრით“ შეეკედლე სულგანათლებულ მილიარდერ ბადრი პატარკაციშვილს?!

## 2. ბოდიში! ვინ თქვა „ბოდიში“?

**ადრეც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ: ძალიან დიდხანს ვიკავებდი თავს, რომ ამ ქალზე, რომლის გამრუდებულ გზას ზედმიწევნით ვიცნობ, არაფერი მეთქვა. მაგრამ, ეტყობა, ვცდებოდი. მის გამოსწორებას არაფერი ეშველა. ლენცოფამ ღრმად გაიდგა ფესვი და დღევანდელ საგანგაშო პირობებში ქვეყნისა და საზოგადოებისათვის ეს ძალზე საშიშია.** მას ჭკუა ვერც გაზეთ „ქუთაისის“ თანამშრომელთა რჩევა-დარიგებამ ასწავლა, ვერც სხვა ჟურნალისტების შეგონებებმა და, მისეულ უკუღმართობათა მხილების მიუხედავად, დღემდე დაუსჯელად განაგრძობს ცრუ ინფორმაციათა და ნაყალბევ კომპრომატთა შეთხზვასა და გავრცელებას, რაც საზოგადოებაში პანიკას იწვევს და ქაოსს ამკვიდრებს. ამიტომ არ არის შემთხვევითი, რომ სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის ხელმძღვანელი, ქალბატონი ია ანთაძე საზოგადოებას აფრთხილებს, რათა ელისო კილაძის მიერ გავრცელებულ ინფორმაციებზე ჯანსაღი ეჭვი გაუჩნდეს.

## საჩუქარი ჭორნალისტის არქივს!

**„როგორც აღმოჩნდა, ჩემი არქივი ბევრ საინტერესო დოკუმენტს ინახავს, მათ შორისაა 1998 წლის 14 მაისს ალექსანდრე შენგელიას მიერ ხელმოწერილი ბრძანება №26, რომლითაც ის განმარტავს, რომ აღდგენილი ვარ“, — წერს ელისო კილაძე თავის საავტორო გაზეთის — „ქრონიკა+“-ის 21 ივლისის ნომერში, დამაბრალებს, თითქოს ამ ბრძანების გამოცემისას მე ბოდიში მოვუხადე,შემდეგ კი განაგრძობს: „ამ ბრძანების გამოცემიდან კიდევ ოთხი წელი ვიმუშავეთ ერთად და ბატონ შენგელიას ჩემი მისამართით არ გამოუთქვამს არც ერთი შენიშვნა“.**

რამდენად დასაჯერებელია ელისო კილაძის ფიცამტკიცი და ყოველთვის აუცილებელია თუ არა მისი ინფორმაციის სანდოობაში დაეჭვება, ამის დასადგენად შორს წასვლა არ მოგვიწევს. 2000 წლის დამდეგს, „ქუთაისის“ საახალწლო ნომრით დავემშვიდობე თანამშრომლებსაც და მკითხველებსაც, რომლებსაც ზუსტად 12 წელიწადი ვემსახურე. ასე რომ, ამ არც თუ უმნიშვნელო დეტალითაც თვალნათლივია, რომ ჩემი „ოპონენტი“ ანგარიშთან და ლოგიკასთან მწყრალად არის, რამეთუ 1998 წლის მაისსა და 2000 წლის ახალ წელს ერთმანეთისაგან მხოლოდ წელიწადნახევარი აშორებს.

რადგან 4 და წელიწადნახევარს შორის სხვაობა ასე მარტივად გაირკვა, ახლა ისიც განვჩხრიკოთ, როგორ მოხდა და რამ შეუწყო ხელი ელისო კილაძეს, რომ, როგორც აცხადებს, ზემოხსენებული ბრძანების შემდეგ რედაქტორს ვითომდა „მისი მისამართით არ გამოუთქვამს არც ერთი შენიშვნა“?

„ვითომდას“ შემთხვევით არ ვუსვამთ ხაზს, რამეთუ მჩხაბავს აქაც „ავიწყდება“ ზოგიერთი არსებითი დეტალი,რომლებსაც მას შემდეგ შევახსენებთ,როცა 1998 წლის 5 იანვარს გამართულ გაზეთ „ქუთაისის“ თანამშრომელთა საერთო კრების ოქმიდან რამდენსამე ამონარიდს გამოვაქვეყნებთ,

ამ ოქმში, რომელიც შრომის დისციპლინისა და ჟურნალისტური ეთიკის დაცვასთან დაკავშირებული ვითარების განხილვის შედეგებსაც ასახავს, ნათქვამია:

**„რედაქციის საერთო მუშაობას მხარს ვერ უბამს ელისო კილაძე, რადგან იგი სხვა საქმეებით, კერძოდ, პირადი ბიზნესითა და სხვა გაზეთებში თანამშრომლობით არის დაკავებული. ამაზე მასთან არაერთხელ ჰქონდათ საუბარი როგორც რედაქტორს, ისე რედაქციის თანამშრომლებს.**

**სამწუხაროდ, ვერც მეგობრული რჩევიდან, ვერც მრავალრიცხოვანი სიტყვიერი გაფრთხილებიდან ამ ახალგაზრდამ სათანადო დასკვნები ვერ გამოიტანა. კოლექტივს საახალწლო ნომერზე მუშაობის დროსაც განუდგა და ერთი სტრიქონიც კი არ მოუმზადებია, თუმცა, მისივე წინადადებით გეგმაში ორი მასალა იყო შეტანილი.**

**მეტიც. 30 დეკემბერს საერთოდ არ გამოცხადდა სამუშაოზე, რის გამოც ბრძანებით დაისაჯა და გაფრთხილებულია, რომ ანალოგიური ქმედებისთვის რედაქციას დატოვებს.**

**ჩვენ გვინდა გავაფრთხილოთ ჩვენი ახალგაზრდა თანამშრომელი, რომ ის არ არის განათლებით ჟურნალისტი და, მუშაობის გარკვეული სტაჟის მიუხედავად, ბევრი ხარვეზი აქვს პროფესიულ ცოდნაში.**

**სამწუხაროდ, მის ანაზღაურებას იგი პროფესიონალების მუშაობაზე დაკვირვებით, სამუშაო საათების გონივრული გამოყენებითა და გამოცდილების ათვისებით კი არ ცდილობს, არამედ პოპულისტური მიზნით ჭორებისა და „სენსაციების“ გავრცელებით. მსგავსი არასერიოზული მასალები და სარედაქციო სამუშაოსადმი მისი აგდებული დამოკიდებულება სახელს უტეხს გაზეთის ისედაც შეჭირვებულ კოლექტივს, ქმნის დაძაბულობას და ბევრ დამატებით საზრუნავს აჩენს.**



ახლა კი რედაქციის გამოცდილ თანამშრომლებს მოვუსმინოთ:

**მიხეილ ამაღლობელი:** ელისოს ვთხოვ, ჩაფიქრდეს და ბოდიში მოიხადოს. მას უმიზეზოდ არაერთი სამუშაო დღე აქვს გაცდენილი. ჩემს ოთახში ზის და ამას სხვაზე უკეთ ვხედავ.

**გიგა ყურაშვილი:** დისციპლინა დისციპლინაა, იგი ყველამ უნდა დაიცვას.

**ლამარა გველესიანი:** ელისო, ხომ არ შეგიძლია უარყო, თუ რამდენჯერ დაგიდექი თავმდებად და შემდეგ კი შენს გამო არაერთხელ მომიხდია ბოდიში? რატომ არ გინდა, კოლექტივს ედგე გვერდით?

**ნინო დეისაძე:** რაც ფიქსითა და შრომის კანონმდებლობით მოგვეთხოვება, ყველამ უნდა შევასრულოთ. დღეს საბაზრო ეკონომიკაა, უამისოდ გაზეთი ვერ იარსებებს.

**ელისო კილაძე:** მე გავარკვევ, თუ ბიულეტენზე ყოფნისას შეიძლება საყვედურის გამოცხადება?

**ნინო ცირამუა:** როგორ? ავადმყოფობის გარეშე არ გაგიცდენია სამუშაო? რატომ ძაბავ მდგომარეობას? ამ შემთხვევაშიც, როგორც საერთოდ, არა ხარ მართალი!

**ნუნუ მაჩალაძე:** აქ მთავარი ის კი არ არის, იმ დღეს სამსახურში იყო თუ არა ელისო. აქ ეთიკაზეა საუბარი — ვნახოთ ჩვენი წერილების მოძრაობა!

ზოგიერთს, გაზეთ „ქუთაისში“ ვმუშაობო, ეს სახელი აინტერესებს, მაგრამ გაზეთისთვის სასიკეთოს არაფერს აკეთებს. არ ხარ მართალი, ელისო! დილით რამდენიმე წუთით შემოირბენ და მერე საღამომდე სადა ხარ, კაცმა არ იცის.

**ლალი აფხაიძე:** ხელფასს რატომ იღებ, როცა სამუშაოს სისტემატურად აცდენ?

**ნანა ქაჯაია:** შვილების შემდეგ ყველაზე მეტად ჩვენი გაზეთი მტკივა. არ შეიძლება ასეთი დამოკიდებულება გაზეთისადმი. ყველამ თავის საქმეს უნდა მიხედოს. ელისოს კიდევ ერთხელ მინდა შევახსენო, რომ მის გამო არაერთხელ ჩავვარდით უხერხულობაში, თუმცა, ყოველთვის ვცდილობდით მის გვერდით დგომას.

**ხათუნა გედენიძე:** უნდა გიყვარდეს ის კოლექტივი, სადაც მუშაობ. მაშინ არ იქნება არც გაცდენები, არც რაიმე გაუგებრობა.

**ნანი ტოროშელიძე:** რედაქტორთან თითოეული ჩვენგანი არაერთხელ შესულა, რომ ოჯახური მდგომარეობის გამო გათავისუფლება ეთხოვა. არავისთვის უთქვამს უარი. ტყუილი არ უნდა ვიკადროთ. ერთმანეთიც უნდა გადავარჩინოთ და გაზეთიც.

**ელისო კილაძე:** ყველა თქვენგანს გახსოვთ ე.წ. ეროვნული ხელისუფლების პერიოდი და ჩემი პოზიცია.

ახლა იმ კითხვაზე, რომელიც გაწუხებთ, კერძოდ, თუ რატომ არ ვმუშაობ?

ადრე პირადად ვიყავი დაკავებული პურის საცხობით, საკუთარი ატეესიც გავხსენით, არც იმას უარვყოფ, რომ ბევრი გაცდენა მაქვს. დაუკითხავადაც მივდიოდი... ვაღიარებ და ბოდიშს ვიხდი.

**ნუნუ მაჩალაძე:** შენ „ძალიან ჭკვიანი“ ხარ, მაგრამ შენზე ნაკლები ჭკუისა აქ არავინ არის. ასეთ დღეში რატომ ჩაგვაგდე? ბოლოს და ბოლოს, მოსაკვეთი უნდა მოიკვეთოს!

ეკლესიურ ცხოვრებაში ყველაზე დიდ ცოდვად ითვლება უმადურობა. ჩვენმა ზნეობამ უნდა შეგვაჩეროს. ენის მიმტანი არასდროს ვყოფილვარ, თორემ ყველამ კარგად იცის, შენ რაში გესაჭიროება გაზეთ „ქუთაისის“ მუშაკის სახელი.

* * *

კრებაზე ერთხმად აღინიშნა, „ყველამ მოვუსმინეთ, რომ ბოდიში მოიხადა, და ისიც, თუ როგორი პირობა დადო. არც გაცდენები უარუყვია. ვნახოთ, როგორ მოიქცევა მომავალში?!.“

როგორ მოიქცა?

## „თუ ბუნებამც არ უშველა“

**ამ კრების შემდეგ რედაქტორის იმ ბრძანების გამოქვეყნებამდე, რომლითაც სამუშაოზე მისი აღდგენაა დაფიქსირებული, ელისო კილაძემ ერთხელ კიდევ „მოსინჯა“ თანამშრომელთა პოზიციის სიმყარე — ისევ და ისევ უხეშად დაარღვია შრომითი დისციპლინა, მაგრამ ამჯერად უკვე სამუშაოდან იქნა გათავისუფლებული.** ამიტომ ისევე განმეორდა ბოდიში და იმის იმედით, რომ, ბოლოს და ბოლოს, გონს მოეგებოდა, კოლექტივმა ეს გადაცდომაც მიუტევა. ასე რომ, მკითხველმა თავად განსაჯოს, ვინ ვის და რატომ მოუხადა ბოდიში და რა ზემოქმედების ძალით მოხდა, რომ მას შემდეგ წელიწადნახევრის განმავლობაში ასე თუ ისე გარეგნულად მაინც ბევრჯერ იკავებდა თავს, რათა საყვედური და შენიშვნა ნაკლებად დაემსახურებინა? თუმცა, ეშმაკი მაინც არ ასვენებდა: ენამ კვლავ წაუსწრო და 1999 წლის 22 აპრილს გაზეთი იძულებული გახდა, მის ნაცვლად ბოდიში თვითონ მოეხადა, რადგან, როგორც ქალაქის პროკურატურამ გაზეთში სავალდებულო წესით გამოქვეყნებული წერილით ოფიციალურად დაადასტურა, გაზეთ „ქუთაისის“ თანამშრომელმა ელისო კილაძემ საკრებულოს ტრიბუნიდან გაავრცელა პიროვნების სახელის გამტეხი შეგნებული მონაჭორი.

სამწუხაროდ,სულმნათი აკაკის თქმისა არ იყოს, „მაგრამ მარტო წვრთნა რას უზამს, თუ ბუნებამც არ უშველა?“ და მის მიერ პიროვნებათა სახელის გამტეხ შეგნებულ მონაჭორთა რაოდენობა იმავე წუთებიდან გაიზარდა, როგორც კი გაზეთ „ქუთაისის“ თანამშრომლებმა ახალი რედაქტორი აირჩიეს. ამის თაობაზე სიტყვას აღარ განვაგრძობ, მაგრამ თავს ვალდებულად ვთვლი, მკითხველს აუცილებლად შევახსენო „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული ვრცელი ამონარიდი ჟურნალისტ ნინო დეისაძის სტატიიდან „ცილისმწამებლის ვნებანი“, რომელშიც გამოწვლილვით არის მოთხრობილი, თუ ელისო კილაძემ რედაქციას როგორ ჩააშხამა ახალი ხელმძღვანელობის მიერ გამოსაცემად გამზადებული პირველი ნომრის სიხარული.

წვრთნამ რომ შემდგომშიც ვერაფრით უშველა, დღეს უკვე ყველასთვის ცხადზე უცხადესია: მავანთა დიდი მცდელობის მიუხედავად, ჟურნალისტად კი არა, წლების მანძილზე სწორედ რომ ნამდვილ ჭორნალისტად ჩამოყალიბდა და შანტაჟის მიზნით მის მიერ შეთხზული ყალბი კომპრომატებით უამრავს გაუმრუდა ცხოვრების გზა, აურია ოჯახი და გაუმწარა სიცოცხლე.

ჭორებს, ცილისწამებას და მუქარას დღესაც არ ეშვება — ხან მის მიერ უსაფუძვლოდ შეურაცხყოფილ ქალბატონ ელისო ჩაფიძეს უთვლის, რომ საქმეს სასამართლოში გაურჩევს; ხან ბატონ ვლადიმერ ბედუკაძეს აშინებს, რომ ჩაწერილი აქვს, თუ ვისზე რა თქვა და ამ ჩანაწერებს აუცილებლად გამოაქვეყნებს; ხანაც მე მიპირებს, მიჩივლოს და ამ თვითმარქვია „მსაჯულს“ ჩემს წინააღმდეგაც წინასწარ გამოაქვს საკუთარი ერთპიროვნული „ვერდიქტი“.

რატომ ყელყელაობს ასე თავხედურად?

„ცილისწამების მუხლი სისხლის სამართლის კოდექსიდან დიდი ხნის ამოღებულიაო“. — ეიმედება და უხარია, მაგრამ ამაოდ. ცრუ დასმენა და პიროვნების ღირსების შელახვა რომ დასჯადი ქმედებაა, ეს დღემდე არავის გაუხდია სადავოდ.



ასე რომ, გულწრფელად ვურჩევდი: ვიდრე თაგვი კატას გამოთხრიდეს, ერთხელ მაინც და თანაც ამჯერად ისე, როგორც პროფესიონალი ჟურნალისტები აკეთებენ ხოლმე, — „სხვისი თვალით“ გადაიკითხოს მის მიერვე შეთხზული ცრუ კომპრომატებით სავსე საკუთარი ნაწერები, რათა როცა „ან“-ს იტყვის, „ბან“-ის თქმა არ დაავიწყდეს!

**ალექსანდრე შენგელია**

№147. პარასკევი, 7 აგვისტო, 2015 წელი.

# ისტორიულ სინამდვილეს ნაცარს ნუ წააყრით!

**სახელმწიფოებრივი თავისუფლების მოპოვების სურვილი კვებავდა გუბაზის არსებას. ეს იყო ერის სულიერ ხვითოში ჩაკირული ოცნების ხორცშესხმა, კოლხური თავმოყვარეობითა და ღირსებით ნასაზრდოები. ეს იყო წინაპართა ფესვებიდან ამოყრილი მარადი სურვილის ფრთაშესხმა. ქვეყნის თავისუფლება მოითხოვდა მსხვერპლის გაღებას, საჭირო იყო გაბედული ნაბიჯის გადადგმა. მან გადალახა პიროვნული ამბიციები და ერის დამოუკიდებლობის იდეას შესწირა მეფური ძალაუფლების შეკვეცა.**

**პლატონი სინათლეს ითხოვდა სამყაროსთვის, სინათლეს ითხოვდა ხელმწიფეთა აზროვნებისთვის... დავესესხები ბრწყინვალე ფილოსოფოსს და დავამატებ, რომ სინათლე (სიცხადე) საჭიროა ნებისმიერი მოვლენის თუ ფაქტის განსაზღვრისას, რადგან საბჭოთა პერიოდში და შემდეგაც გამოცემულ ისტორიულ კრებულებსა თუ ნარკვევებში, რბილად რომ ვთქვათ, გაუფერულებულია კოლხეთის, როგორც კაცობრიობის ცივილიზაციის აკვნისა და შემდგომში, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფოს, ეგრისის, მის მეფეთა დამსახურება და ღვაწლი.**


ქართლის პარალელურად, დასავლეთ საქართველოში არსებობდა მეორე ქართული სახელმწიფო – ეგრისი (იგივე ლაზიკა)

საბედნიეროდ, დღეს მდიდარი არქეოლოგიური მასალა და ლიტერატურული წყარო გაგვაჩნია, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია ნამდვილი, ჭეშმარიტი რეალობის წარმოჩენა. და, მგონია სრულებით არ არის საჭირო ზოგიერთი თვალსაჩინო ფაქტის ხელოვნურად დაფარვა და ნაცრის გაბნევა.

მხედველობაში მაქვს ეგრისის მეფეის გუბაზ პირველის (455-465 წ. წ.) მოღვაწეობის განსაკუთრებულ მნიშვნელობა. საქართველოს ისტორიის მხოლოდ ზოგიერთ გამოცემებშია ორი წინადადებით ხაზგასმული და ისიც სხვათა შორის, ან საერთოდ არაა მოხსენიებული მისი განსაკუთრებული როლისა და უზადო დიპლომატიური მიღწევების შესახებ. ერთი წინადადებაც არ გაიმეტეს, გუბაზ პირველის მოღვაწეობის შესახებ „საქართველოს ისტორიის ოთხტომეულში" (რედაქტორი მ. ლორთქიფანიძე).

ისტორიის დილეტანტმაც კი იცის, რომ V საუკუნის შუა ხანებში სპარსეთის იმპერიის ძალმომრეობის შედეგად მეფობა გაუქმდა ჯერ არმენიაში, შემდეგ კი ქართლში. რომ არა დედოფალ საგდუხტის ავტორიტეტი და მეცადინეობა, ვახტანგი ვერ გახდებოდა ქართლის მეფე. რომელმაც უთანასწორო ბრძოლა გადაიტანა.

ქართლის პარალელურად, დასავლეთ საქართველოში არსებობდა მეორე ქართული სახელმწიფო – ეგრისი (იგივე ლაზიკა), რომელსაც ვასალური დამოკიდებულება ჰქონდა ბიზანტიასთან (მეფედ კურთხევის წესი და ასიგნებების მიღება), ამით შემოიფარგლებოდა ვასალური დამოკიდებულების გარეგანი სახე. ეს იყო ძალაუფლების სიმბოლოები.

გუბაზი, წინასწარ შეემზადა და განიზრახა, უარი ეთქვა ფორმალურ დამოკიდებულებაზეც კი. 457 წელს ბიზანტიის დაუკითხავად თანამეფედ დაისვა საკუთარი ძე. ამით უარყო კონსტანტინეპოლის ვასალური მორჩილება. ეს სვლა უფრო მისაღები და გონივრული იყო, ვიდრე კატეგორიულად თავად ეთქვა ვასალობაზე უარი. თუმცა, მისი გადაწყვეტილება უკვე მორჩილებაზე უარის თქმას ნიშნავდა. მაგრამ დიპლომატიური სვლით. ეს იყო იმ დროისთვის პროგრესული მოვლენა. როცა მეფე შვილს თანამეფედ დაისვამს, საკუთარ ძალაუფლებას შეიკვეცავს, ამით გუბაზი მისაბაძი მაგალითია შემდგომი თაობებისთვის (გავიხსენოთ გიორგი III და თამარის შემთხვევა.)

სახელმწიფოებრივი თავისუფლების მოპოვების სურვილი კვებავდა გუბაზის არსებას. ეს იყო ერის სულიერ ხვითოში ჩაკირული ოცნების ხორცშესხმა, კოლხური თავმოყვარეობითა და ღირსებით ნასაზრდოები. ეს იყო წინაპართა ფესვებიდან ამოყრილი მარადი სურვილის ფრთაშესხმა. ქვეყნის თავისუფლება მოითხოვდა მსხვერპლის გაღებას, საჭირო იყო გაბედული ნაბიჯის გადადგმა. მან გადალახა პიროვნული ამბიციები და ერის დამოუკიდებლობის იდეას შესწირა მეფური ძალაუფლების შეკვეცა.

ეს სახელმწიფოებრივად აზროვნების ნიმუშია. ამ იდეას ასაზრდოებდა თავისუფლების იდუმალება. ეცადა, არტახები შეეხსნა მრავალწლიანი შებოჭილობისათვის, რომელსაც ერის სულის შემძვრელი ტკივილი ახლდა თან. საკუთარი ოპტიმიზმითა და ნათელი დღის მოლოდინით სძლია ყოველგვარ განცდებს, რომლის მიღმა სამშობლოს გაძლიერების მარად ნანატრი სურვილი იდგა.

სამყარო დიდია. გუბაზმა საკუთარი სიცოცხლე და ფიზიკური შესაძლებლობები მთლიანად მიუძღვნა უძველესი კოლხეთის – საუკუნეთა ქარტეხილგამოვლილი სამშობლოს – ეგრისის, მითაჟამიდან შემონახულ, უნიკალური მეგრული კულტურის, წეს- ჩვეულებებისა და ენისადმი პატივცემას.

ეს მოულოდნელი არ იყო მაშინდელი დიდებულთათვის, რადგანაც თანადგომა გამოუცხადეს საკუთარ გაბედულ მეფეს. გადაწყვეტილება მიუღებელი აღმოჩნდა ბიზანტიის იმპერიისთვის.

ბიზანტიამ უმალვე „მუშტის" მოღერებით უპასუხა. გუბაზი წინასწარ და საგანგებოდ ემზადებოდა დარტყმის მოსაგერიებლად. მან, „ჯეჯილოვანთ ველზე" სასტიკად დაამარცხა მომხვდური. სპეციალურად მოწყობილ ხრამ- ორმოებში, სადაც პირალმა ისრები იყო ჩასობილი, და ზემოთ ჯეჯილი ბიბინებდა. ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით „დაასამარა" ბიზანტიის ლეგიონი. ეს სტრატეგიული ხერხი მოულოდნელი შეიქნა სწორუპოვარი რომაელთა სტრატეგოსებისთვის.

გუბაზმა გამარჯვების გვირგვინით შეამკო ლაზთა სიძლიერე. ეს იყო იგივე „შამქორი" იგივე „ბასიანი" და „ასპინძა". აქ გამოვლინდა გუბაზის, როგორც ნიჭიერი მხედართმთავრისა და სტრატეგის შესაძლებლობები.

სჩანს, გუბაზი თავად ეძებდა ბარიერებს, წინააღმდეგობებს. ეს წინააღმდეგობა აძლევს ძალას, ენერგიას, იმუხტება არა შურისძიებით, არამედ კოლხთა შესაძლებლობების დემონსტრირებით. ეს გახლავთ სიკვდილ-სიცოცხლის ჭიდილი, რომელსაც სიცოცხლისა და დღესასწაულის ზეიმი მოყვება. ღირსეულ სიცოცხლეს კი ღირსეული დასასრულით ალამაზებს.

გუბაზი ცდილობს, ცეცხლსა და გრიგალს გამოგლიჯოს სამშობლო. თვალი კი არ გააყოლოს ეგრისის თავზე გადამავალ შავ ღრუბელს, პირიქით, გულში არ იტოვებს სევდას, რომელიც ერის სულიერ ხვაშიადს წარმოადგენს, ათასწლობით, რომ უწეწავდა სულს...

ბიზანტია იძულებული გახდა, დესპანი წარეგზავნა პართიელებთან დახმარების თხოვნით. იგივეს მოიმოქმედებს გუბაზი. მაშინ პართია ჰუნებსა და კიდარიტებთანაა ომში ჩაბმული. დაკავებულია, არ სცალია, დახმარება გაუწიოს სხვას. კვლავ ერთმანეთის პირისპირ რჩებიან იმპერატორი მაკრიანე და გუბაზი. დაიწყება დიპლომატიური „ომი". გამარჯვებული მეფე შემხვედრ ნაბიჯს პირველი არ დგამს. ის უტეხია, ის ამაყია. ზუსტად გრძნობს დროის სუნთქვას. საერთაშორისო მოვლენებს უსადაგებს საკუთარი მოქმედების სტრატეგიას (ამგვარი თვისებები აღმოაჩნდა დავით აღმაშენებელსა და გიორგი ბრწყინვალეს). იგი მუდმივ ძიებაშია, ზვერავს, აფასებს მდგომარეობას, თვალს გადაავლებს წარსულსა და საღად ჭვრეტს მომავალს.

იმპერატორი იძულებული ხდება, ეგრისს მიავლინოს დესპანი, მისი უახლოესი მეგობარი, ეპიტროპეზოსმოძღვარი, გამოცდილი დიპლომატი ევფემიოსი, რომლის მეშვეობით შემოთვლის, რომ „წინაპართა წესი არ არის თანამეფედ ძე დაისვა. ან თვითონ გადადექი ან შვილი გადააყენე და ეწვიე კონსტანტინეპოლსო!"

გუბაზი ფორმალურად თითქოს თანახმაა, მიიღოს მიწვევა, მაგრამ ეს უაღრესად სალი გონების დიპლომატი წარმატებით „თამაშობს". ახერხებს, შეპირდეს, მაგრამ არ წავიდეს იმპერატორთან შეხვედრაზე. ფაზისის აკადემიაში განსწავლული გუბაზი სტუმარს ჩააxედებს სამშობლოს იდუმალ სიყვარულში, მშობლიური მიწის სურნელს სხვაგვარად შეაგრძნობინებს. მიახვედრებს, რომ რაც მოხდა მისი ქვეყნის ბედია, გარდუვალობაა. შეუძლებელია იმის უარყოფა, რაც სინამდვილეა! იგი რომანტიკულად მოაზროვნე მეფეა.

საქართველოს ისტორიამ იცის II საუკუნის მოღვაწის – იბერიის მეფის ფარსმან მეორის შესახებ, სიკეთისა და ვაჟკაცობისთვის „ქველად წოდებული." ის პოლიტიკური მოსაზრებით არ გამოეცხადა რომის იმპერატორ – ადრიანეს. მაგრამ შემდეგ მიიღებს მომდევნო იმპერატორის, ანტონინუსის მიწვევას და ჩავა რომში, სადაც პატივით უმასპინძლებენ.

ფარსმანის ქმედებანი საქართველოს ისტორიის ყველა გამოცემაში სასურველ ფაქტადაა აღიარებული. ყველა სასკოლო სახელმძღვანელოშია შეტანილი და საგანგებოდ ასწავლიან თაობებს (ასეც უნდა იყოს). გუბაზ პირველმა ფარნავაზზე მეტი შესძლო, სასტიკი ომი მოუგო ბიზანტიას, დაასამარა მისი სამხედრო ძლიერება, მაგრამ ერთი სიტყვის ღირსადაც არ ხდიან.

ბედისწერა ისე მოაწყობს, რომ 458 წელს მარკიანე მიიცვლება. მის ადგილს იკავებს იმპერატორი ლეონ პირველი. ეს მოვლენა გუბაზს აძლევს ხელს, კვლავ დიდი ხნით შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა.

ახალი იმპერატორი იძულებულია, მორიგი ელჩობა გააგზავნოს ლაზეთს დიონისეს თავკაცობით. გუბაზი ამჯერადაც ახერხებს დროის გაყვანას. შესაშურია მისი შინაგანი უტეხობა და პრინციპულობა. დიპლომატიური არსენალის მრავალფეროვნება. აცხადებს, რომ მას და მის ძეს შეიძლება კონსტანტინეპოლში საშიშროება დაემუქროთ, ამიტომ ფეხს ითრევს. დესპანი თითქოს მოახერხებს გუბაზის დარწმუნებას, რომ მას არავითარი ხიფათი არ ემუქრება, თუმცა, ეს წინააღმდეგობა და ეჭვები გუბაზის „თამაშია". ემსახურება ქვეყნის თავისუფლების დაცვის გახანგრძლივებას. ის დიდხანს ფიქრობს, როგორ მოახერხოს სანუკვარი ოცნების ბოლომდე მიყვანა და მიაგნებს კიდეც გამოსავალს.

პრისკე პანიონელის ცნობით გუბაზი ჩადის კონსტანტინეპოლში დიდი ხანძრის შემდეგ" ანუ რვა წლის გასვლის შემდეგ – მხოლოდ 465 წელს. თავად ჩადის წინასწარ მოფიქრებული ვერსიით და უარს აცხადებს მეფობაზე. არ ჩაჰყავს შვილი. რადგან არ ჩაჰყავს, ბიზანტია ვერ გადასცემს მას სამეფო გვირგვინსა და დადგენილ ასიგნებებს. ამით გუბაზი აღწევს, ხანგრძლივად შეინარჩუნოს ქვეყნის დამოუკიდებლობა. ბიზანტიის თვალში ის კი გადადგა, მაგრამ შვილთან ერთად სიცოცხლის ბოლომდე უძღვებოდა ქვეყანას. ბიზანტიისგან ბოძებულ გვირგვინს არც თვითონ ატარებს და არც მისი ძე. ეს სრული გამარჯვებაა.

ეს მოვლენაც გახლავთ განსაკუთრებული და სამაგალითო საქართველოს ისტორიაში. მაგალითად, გიორგი II გადადგა დავითის სასარგებლოდ, თუმცა, გიორგი უძალო, უფლება წართმეული მეფე იყო. გუბაზ პირველი კი თავისი ძლიერების ზენიტში იმყოფებოდა.

ამგვარი თავდადება და გონებამახვილური დიპლომატია ეგრისის მეფისა ცოტნე დადიანისა და გიორგი სააკაძის გმირობაზე არა ნაკლებია. იქნებ მეტიც. გუბაზი მისი მრავალტანჯული ქვეყნის წარსულისა და სვებედნიერ მომავალზე მოფიქრალი ადამიანია.

მისი ბრძოლა ჭეშმარიტი გამოხატულებაა თავდადებული, გონიერი და უზადო დიპლომატისა. ეს გახლავთ ერის ტკივილის საღად გათავისებისა და ზოგადსაკაცობრიო მასშტაბამდე აყვანის ნათელი მაგალითი, საკუთარი ერის თავისუფლების სიმბოლო.

მან იცის, ვერ ჩაუქრობს ეგრისელებს თავისუფლებისათვის ანთებულ კვარს. ამიტომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იცავს სანუკვარ ოცნებას, რომელიც ამავდროულად თანამემამულეთა ოცნებაცაა.

ცალკე განხილვის საგანია გუბაზ პირველისა და მისი შთამომავლების მოღვაწეობის თარიღების დადგენის რეალობა.

ამ საკითხზე საკუთარ მოსაზრებას მკითხველს დამატებით მივაწვდი.



**ბორის დავითაია,**
**აკაკი წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი.**

**სენაკი-თბილისი**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველოში რუსეთის ახალი ემბარგოსი ეშინიათ

**საქართველოში** არ გამორიცხავენ მოსკოვის მიერ ქართული პროდუქციის რუსულ ბაზარზე მორიგი აკრძალვის შემოღებას, თუმცა, წინასწარ აფასებენ ამ შესაძლო ნაბიჯს, როგორც „არასწორს“. ადრე, მას შემდეგ, რაც ევროკავშირმა გაავრცელა პრესრელიზი რუსეთთან დამოკიდებულებაში სანქციების გაგრძელების შესახებ 2016 წლის 31 იანვრამდე, მოსკოვმა განაცხადა, რომ არ გამორიცხავს საპასუხო ზომების მიღებას იმ ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებმაც ხელი მოაწერეს ევროკომისიის დეკლარაციას „შეზღუდვის ზომებთან შეერთების შესახებ ყირიმისა და სევასტოპოლის გამო სიტუაციების შესაბამისად“, — რომელთა რიცხვშიც აღმოჩნდა საქართველოც.

**სავაჭრო ურთიერთობათა აღდგენის შემდეგ ქვეყნებს შორის სულ ორი წელი გავიდა**

ამასთან დაკავშირებით რუსეთის პრემიერ-მინისტრმა დიმიტრი მედვედევმა განაცხადა, რომ მთავრობას განზრახული აქვს, მიმართოს პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს თხოვნით — შემოიღოს სასურსათო ემბარგო იმ ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებიც შეუერთდნენ ევროკავშირის ახალ სანქციებს.



ამის შემდეგ გავრცელდა მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში ზედამხედველობის ფედერალური სამსახურის როსპოტრებნადზორის განცხადება, რომელშიც გამოთქმულია უკმაყოფილება იმ ქართული ღვინისა და კონიაკის ხარისხის გამო, რომლებსაც საქართველოს ორი კომპანია აწარმოებს.

შეგახსენებთ, რომ რუსეთმა შემოიღო ემბარგო ქართული კვების პროდუქტების მიწოდებაზე, მათ შორის, ღვინოსა და მინერალურ წყლებზე, 2006 წელს ორმხრივ ურთიერთობათა გაუარესების ფონზე. მიხეილ სააკაშვილის პარტიის წარმომადგენლებმა — სააკაშვილი მაშინ საქართველოს პრეზიდენტი იყო — ამ აკრძალვას პოლიტიკურად მოტივირებული უწოდეს, მაგრამ რუსეთის ხელისუფლებამ განმარტა, რომ ამის მიზეზი გახდა საქართველოს პროდუქტების დაბალი ხარისხი და სანიტარიული ნორმების დარღვევები, რასაც წარმოების დროს სისტემატურად უშვებდნენ. ბოლოს და ბოლოს, რუსეთმა გააუქმა ემბარგო ქართულ პროდუქციაზე 2013 წელს.

## საქართველოს ახალი გადაწყვეტილება არ მიუღია?

**საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში ზურაბ აბაშიძე ჯერ კიდევ გასულ კვირას გამოვიდა განმარტებით საქართველოს საზოგადოებაში გაჩენილი საკითხის გამო ქვეყნის რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ სანქცირებული მონაწილეობის აფიშირებასთან დაკავშირებით, რის შესახებადაც ცნობილი გახდა ევროკავშირის პრესრელიზის გამოქვეყნების შემდეგ.** როგორც აბაშიძე განმარტავს, საქართველო ჯერ კიდევ შარშან შეუერთდა ერთ-ერთ სანქციას 15-დან, რომლებიც დააწესა ევროკავშირმა 2014 წლის ივნისში უკრაინის მოვლენებთან დაკავშირებით.

**„ეს გადაწყვეტილება ავტომატურად გაგრძელდა 19 ივლისს, ერთი წლის შემდეგ. ამიტომ ვინმეორებ, რომ ახალი გადაწყვეტილება საქართველოს არ მიუღია“,** — განუცხადა აბაშიძემ ჟურნალისტებს.

მან აგრეთვე აღნიშნა, რომ საქართველოს აქვს პროდუქციის „კონტროლის მეტად ეფექტიანი მექანიზმები“, რითაც გამორიცხა რუსეთის სამომხმარებლო ზედამხედველობის პრეტენზიების დასაბუთებულობა ქართული ალკოჰოლური პროდუქტების ხარისხთან დაკავშირებით. რაც შეეხება შესაძლო ემბარგოს რუსეთის მხრიდან, ზურაბ აბაშიძის აზრით, ეს იქნება „არასწორი გადაწყვეტილება“.

**„ჩვენი დიალოგის ერთ-ერთი არსებითი შედეგია (რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგოლი კარასინთან) — სწორედ სავაჭრო ურთიერთობათა აღდგენა.თუ რუსეთი მაინც გადადგამს ნაბიჯებს ვაჭრობის შეზღუდვასთან დაკავშირებით — ეს იქნება არასწორი გადაწყვეტილება... არის გარკვეული მინიშნებები და კომენტარები რუსეთის მხრიდან იმის შესახებ, რომ ეს შეიძლება დაკავშირებული იყოს საქართველოს მიერთების სანქციებთან“,** — განაცხადა 5 აგვისტოს საქართველოს პრემიერის სპეციალურმა წარმომადგენელმა.

შეგახსენებთ, რომ აბაშიძისა და კარასინის შეხვედრები არის ერთადერთი ფორმატი პირდაპირი მოლაპარაკებისა რუსეთისა და საქართველოს წარმომადგენლებს შორის. ეს ფორმატი ინიციირებული იყო საქართველოს ხელმძღვანელობაში 2012 წელს ახალი ხელისუფლების მოსვლით, და იგი ითვალისწინებს მხოლოდ ჰუმანიტარულ და სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა განხილვას ქვეყნებს შორის. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი არის ჟენევის დისკუსიების განხილვის საგანი კავკასიაში სტაბილურობისა და უსაფრთხოების საკითხებზე. ამ მოლაპარაკებებში, რომლებიც რეგულარულად ეწყობა 2008 წლის შემოდგომიდან, მონაწილეობას ღებულობენ გაეროს, ევროკავშირის, ეუთოს, ამერიკის შეერთებული შტატების, საქართველოს, რუსეთის, აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის წარმომადგენლები. ზურაბ აბაშიძემ და გრიგოლი კარასინმა 2012 წლის დეკემბრიდან უკვე ათი ასეთი შეხვედრა გამართეს.

თავის მხრივ, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განაცხადა, რომ შეისწავლის სამომხმარებლო ზედამხედველობის პრეტენზიებს საქართველოს მითითებულ ალკოჰოლურ სასმელებთან დაკავშირებით. თუმცა, სამინისტროს 5 აგვისტოს განცხადებაში ასევე აღნიშნულია ისიც, რომ საქართველოში მოქმედებს საექსპორტო პროდუქციის ხარისხის მკაცრი კონტროლი.

**„ქართული ღვინოებისა და ალკოჰოლური სასმელების ხარისხი მკაცრად კონტროლდება და მოწმდება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამსახურების მიერ ლაბორატორიებში, რომლებსაც აქვთ შესაბამისი აკრედიტაცია. ქართული ღვინო არის ერთ-ერთი მთავარი საექსპორტო პროდუქცია, და როგორც სახელმწიფო, ისე მეწარმეები და ექსპერტები მაქსიმალურად არიან დაინტერესებული პროდუქციის ხარისხითა და უშიშროების შესაბამისი სტანდარტებით“,** — ნათქვამია განცხადებაში.

## ოპოზიციის რეაქცია

**საქართველოს ოპოზიცია მიიჩნევს, რომ ხელისუფლებამ უნდა დაიწყოს პროდუქციის გასაღების ახალი ბაზრების ძიება.** მიხეილ სააკაშვილის პარტიამ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ამავე დროს შეგვახსენა თავისი გაფრთხილებების შესახებ რუსეთის ბაზრის არასტაბილურობასთან დაკავშირებით და ბრალი დასდო საქართველოს ხელმძღვანელობას უპასუხისმგებლობაში — იმაში, რომ იგი თითქოსდა დიდ იმედებს ამყარებდა რუსეთთან ვაჭრობის განახლებაზე, ამასთან ერთად „იწვევდა დაბნეულობას“ საქართველოს მოსახლეობაში. მიუხედავად ამისა, როგორც ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ისე ოპოზიციური საპარლამენტო ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატები“ მიიჩნევენ, რომ თბილისი მოიქცა სწორად, როდესაც მხარი დაუჭირა ევროკავშირის სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ.

**ოფიციალური მონაცემების თანახმად, ღვინის პროდუქციაზე 2013 წელს რუსული ემბარგოს მოხსნის შესახებ, საქართველოს მოგება ღვინის ექსპორტისგან გაიზარდა 30 პროცენტით, ხოლო ღვინის გაყიდვა უცხოეთში გაიზარდა 26 პროცენტით (2014 წლის მონაცემები). ამ დროს რუსეთი გავიდა პირველ ადგილზე ქართული ღვინის ექსპორტიორ ქვეყნებს შორის, მას მოჰყვებიან ყაზახეთი, უკრაინა, ჩინეთი, პოლონეთი. ამავე დროს, საქართველოს ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, 2015 წლის პირველი შვიდი თვის განმავლობაში ქართული ღვინის ექსპორტის მოცულობა რუსეთის ფედერაციაში შემცირდა 46 პროცენტით შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. მიუხედავად ამისა, რუსული ბაზარი დღემდე რჩებოდა ძირითადად ქართული ალკოჰოლური სასმელების გაყიდვებისათვის.**

Voice of America

## დედამიწის ზურგზე



**ასეანის გალა-ვახშამზე ლავროვის ადგილსამყოფელი აღნიშნეს ფირფიტით „SERIOJA“**

სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის სახელმწიფოთა ასოციაციის ფორუმის სამინისტროს სესია მალაიზიის დედაქალაქში გაიმართა. კრიზისის ფონზე დასავლეთის ქვეყნებთან რუსეთის ფედერაცია ცდილობს, უფრო აქტიურად განავითაროს კავშირურთიერთობანი აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის სახელმწიფოებთან. ამ მიზნით იქმნება სპეციალური „ბრძენთა ჯგუფი“, რომლის სიაც ჟურნალისტებმა გაიგეს.

**ნასას აპარატმა „ბნელი მხრიდან“ გადაიღო მთვარის გაფრენა დედამიწის წინ**



ფოტოგრაფიების სერია, რომელთაგანაც გააკეთეს შთამბეჭდავი ანიმაციური სურათი, აჩვენებს მთვარის „ბნელ მხარეს“, რომელიც არასოდეს მოსჩანს დედამიწიდან.

**ნასა რუსეთს გადაუხდის კიდევ ნახევარ მილიარდ დოლარს საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე გაფრენებისათვის**



ამერიკის სააგენტომ გაახანგრძლივა კონტრაქტი როსკოსმოსთან საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე ამერიკელი ასტრონავტების მიყვანისათვის. პროგრამა Shuttle-ის დამთავრების შემდეგ ამის გაკეთება შეუძლია მხოლოდ რუსულ „სოიუზს“, თუმცა ამერიკის შეერთებულ შტატებში დაჟინებით მუშაობენ ალტერნატივებზეც.

**დონეცკში მიმდინარეობს მორიგი პიკეტი ეუთოს სასტუმროს მახლობლად: მცხოვრებლებმა აქ მოიტანეს ცისტერნა საღებავით**



დონეცკის დაახლოებით 200-მა მცხოვრებმა ეუთოს წარმომადგენლებისაგან მოითხოვეს, მოინახულონ ის ადგილები, რომლებსაც ყოველდღიურად უხსნიან ცეცხლს უკრაინის სამხედროების მხრიდან, და ობიექტურად შეხედონ სიტუაციას. ცისტერნაში წითელი საღებავია, იგი გადმოდის იქიდან და წარმოადგენს დაღუპულთა სიმბოლურ სისხლს.

**ჰიროსიმის მერმა ბომბის აფეთქების წლისთავზე მსოფლიოს მოუწოდა, უარი თქვან ბირთვულ იარაღზე**

„სანამ არსებობს ბირთვული იარაღი, არასოდეს იცი, თუ ვინ გახდება მისი მსხვერპლი“, — აღნიშნა ქალაქის მერმა, რომელმაც პირველმა განიცადა ბირთვული დაბომბვის შედეგები. ბომბის აფეთქებამ 70-დან 100 ათასამდე კაცის სიცოცხლე შეიწირა.



„განხეთქილების ვაშლი“

# ფქვილის მწარმოებლებმა ბურთი პურის მწარმოებლებს მიუგდეს

**ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციამ ცალმხრივად შეცდომაში შეიყვანა პრემიერის ეკონომიკური გუნდი. არასწორი, ცალმხრივი ინფორმაცია მიაწოდა, თითქოსდა პურის მწარმოებლებს რეზერვი გააჩნიათ და როდესაც მიაღწიეს საწადელს (რუსული წარმოების ფქვილის შეფერხება საბაჟოებზე), რაც არცთუ ისე მარტივი პროცესია, დაიწყეს ადგილობრივი ფქვილის ფასების მატება, რამაც პურის მრეწველთა სამართლიანი უკმაყოფილება და უსიამოვნება გამოიწვია. ამის გამო შესაძლებელია პურის ფასებმა მოიმატოს, მით უმეტეს ენერგომატარებლების ტარიფის კიდევ უფრო მატებაა მოსალოდნელი.**

ამ სფეროში რომ ქვეყანაში „ჭრელი“ პროცესებია, ფაქტია. ყველაფრის ფასებმა მოიმატა – საფუარი, მარილი, ზეთი, დამხმარე მასალები. თანაც, ჯერ აზერბაიჯანულ „კარმენს“ უჩივლეს ქართულმა წისქვილებმა, ის დაადანაშაულეს მონოპოლიზმში, შემდგომ რუსული ფქვილის შეზღუდვა მოითხოვეს და აიძულეს მთავრობა საბაჟოზე შემზღუდავი ღონისძიებები განეხორციელებინათ.

შედეგები სავალალო გამოდგა, რადგანაც ასეთმა ხელოვნურმა ეკონომიკურმა ქმედებებმა არ უშველა პრობლემების გადაჭრას. მათ სხვის ხარჯზე ფქვილის ფასების მკვეთრი ზრდით მოინდომეს თავიანთი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, რაც არასწორი გათვლაა (ერთხელ არ მოუთხოვიათ ენერგომატარებლების, წყლის, თუნდაც დღგ-ს 18-დან 10%-მდე შემცირება, როგორც ეს კვების პროდუქტებზეა მრავალ ქვეყანაში). მოხდა ზიარი ჭურჭლის პრინციპების განხორციელება. **პრობლემებმა პურის ბიზნესში გადაინაცვლა, რაც აუცილებლად პურის ფასის მომატებას გამოიწვევს. სწორედ ეს სატკივარი გვინდა იყოს გათვალისწინებული.**

**საბაზრო პრინციპების მხარდამჭერი პურპროდუქტების მწარმოებლები**

ამერ-იმერი



## დაზარალებული მოსახლეობას დაეხმარებიან

**პრემიერ-მინისტრ,** ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ დროებითი სამთავრობო კომისიის რიგგარეშე სხდომაზე გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე იმსჯელეს.

მთავრობის მეთაურმა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში კომისიის მიერ განხორციელებული საქმიანობის ანგარიში მოისმინა. საუბარი შეეხო რეგიონში განათლებისა და ჯანდაცვის მიმართულებით განხორციელებულ პროექტებს და საჭიროებებს, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობს. როგორც სხდომაზე აღინიშნა, მოსახლეობას ძირითადად გაზმომარაგება, წყლით უზრუნველყოფა და საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება სჭირდება, რაზე მუშაობაც უკვე მიმდინარეობს. პრემიერმა კომისიის წევრებს მოსახლეობის საჭიროებების მაქსიმალურად მოკლე ვადებში მოგვარება დაავალა. კომისია 2013 წლის ოქტომბრიდან არსებობს და განათლების, ჯანდაცვის, წყალმომარაგებისა და შეშით უზრუნველყოფის მიმართულებით ბევრი ნაბიჯი უკვე გადაიდგა, განხორციელდა ინფრასტრუქტურული პროექტები და ეს სამუშაოები მუდმივად მიმდინარეობს.

## მიწისძვრა ვარძიაში

**საქართველოში** გუშინ 3.4 მაგნიტუდის მიწისძვრა მოხდა. სეისმოლოგიური სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით, ეპიცენტრი ვარძიის სამონასტრო კომპლექსთან ახლოს დაფიქსირდა. წინასწარი ინფორმაციით, ამ სიძლიერის მიწისძვრა ძეგლისთვის რაიმე სერიოზული ზიანის მიყენებას არ გამოიწვევდა.

## ციხეში უნდა იყოს ის სტანდარტები, რომლებიც სადღეისოდ აუცილებელია!

**როგორც** სასჯელაღსრულების ახალმა მინისტრმა კახა კახიშვილმა განაცხადა, საზოგადოებრივი მონიტორინგი სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ახლაც არსებობს და აღნიშნულს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმი ახორციელებს.

„საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმის შექმნის იდეა არის ძალიან სერიოზული განაცხადი. ისე არ უნდა იყოს აღქმული, რომ საზოგადოებრივი მონიტორინგი არ არსებობს. თავად სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრები, ფაქტობრივად, ყოველდღიურად, ყველა დაწესებულებაში შედიან, ესაუბრებიან პატიმრებს და ამის მექანიზმები გაწერილია. მოგეხსენებათ, რომ ჩვენ ვიყავით სწორედ ის ადამიანები, რომლებმაც მივეცით სახალხო დამცველის პრევენციული მექანიზმის წევრებს ციხეებში ფოტოაპარატით შესვლის უფლება, მაგრამ, მეორე მხრივ, ციხეში უნდა იყოს სტანდარტები, რომელიც უნდა იყოს, იმიტომ, რომ ის არის ციხე და დახურული სარეჟიმო დაწესებულება. სასამართლოს თავის დროზე ასეთი კონტაქტები რომ დაეშვა, მაშინ თავად პატიმრობას არ მიუსჯიდნენ“, – განაცხადა კახიშვილმა.

მინისტრის თქმით, სასჯელაღსრულების დაწესებულებებაში მუშაობას სჭირდება შესაბამისი უნარ-ჩვევები და თუკი შეთანხმდებიან ასეთ უნარ-ჩვევებზე, სტანდარტებზე, იმაზე როგორ უნდა შევიდნენ, როგორ უნდა აწარმოონ დახურულ სისტემაში თავისი საქმიანობა, მაშინ არასამთავრობო სექტორის ინიციატივაში მიუღებელი არაფერი იქნება.

„პირველ რიგში სტანდარტებია დასაცავი, რადგან მე, მაგალითად, ზოგიერთი ისეთი არასამთავრობო ორგანიზაცია ვიცი, რომელიც ციხეში მხოლოდ იმისთვის შედის, რომ შემდეგ განცხადება გააკეთოს და მეტად გამოჩნდეს. ამიტომ, მექანიზმებია დასახვეწი. ვიმუშაოთ მექანიზმებზე, ჩვენ პრობლემა არ გვაქვს“, – აღნიშნა კახიშვილმა.

## მიუსაფართა თავშესაფრის მშენებლობა დაგეგმილ ვადებში ვერ მოესწრო

**დიდ ლილოში** მიუსაფართა თავშესაფრის მშენებლობა დაგეგმილ ვადებში ვერ მოესწრო, აქედან გამომდინარე, უცნობია თუ როდის გადაიყვანენ მიუსაფარ ადამიანებს მოსკოვის პროსპექტიდან დიდ ლილოში.

„სამშენებლო სამუშაოებს აწარმოებს კომპანია „qiP 41“. კომპანიას ვადა აქვს გადაცილებული. ჩვენი ინტერესები არ არის, რომ კომპანია „გაშავდეს“ და გავიდეს საქმიდან, თუმცა კანონს ვერ გავექცევით. მათ წინააღმდეგ იქნება გამოყენებული საჯარიმო სანქციები. მერიიდან გაიგზავნა უკვე ბანკში მოთხოვნა, რომ კომპანიას საბანკო გარანტია ჩამოერთვას. კომპანიას არ აქვს თანხის დიდი ნაწილი ათვისებული, თუმცა, ამ დროს სამუშაოები უკვე დამთავრებული უნდა იყოს“, – განაცხადეს მერიის კეთილმოწყობის სამსახურში.

სამსახურში აცხადებენ, რომ სამუშაოებს ამ დროისთვის კვლავ იგივე კომპანია აგრძელებს, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ კომპანია ვადებში ვერ ეტევა, შესაძლებელია ეს უფლება ჩამოერთვას. კეთილმოწყობის სამსახურში აღნიშნავენ, რომ მათი პირდაპირი ინტერესი არ არის, გაწყდეს ხელშეკრულება, რადგან სამუშაოები თითქმის ბოლომდეა მიყვანილი. თუმცა, არ გამორიცხავენ, რომ ხელშეკრულების შეწყვეტა თავად კომპანიამ მოითხოვოს.

მიუსაფართა თავშესაფარი, სადაც კარვებია განლაგებული, ამ დროისთვის მოსკოვის პროსპექტზე მდებარეობს. 240 ბენეფიციარზე გათვლილი თავშესაფარის მშენებლობა კი დიდ ლილოში მიმდინარეობს. პროექტის მიხედვით, უნდა აშენდებს ერთსართულიანი შენობა, სადაც განთავსდება საძინებლები, სამრეცხაო, სველი წერტილები, სასადილო ოთახი, მედპუნქტი, სტაციონარი, ფსიქოლოგის კაბინეტი. პროექტით გათვალისწინებულია შიდა ეზოს კეთილმოწყობაც. კომპლექსს ეყოლება დაცვა და ადაპტირებული იქნება შშმ პირებისთვის. პროექტისათვის დედაქალაქის ბიუჯეტიდან 1 600 000 ლარია გამოყოფილი.

**ინტერპრესი**

სასურსათო უსაფრთხოება



# საშიშია თუ არა აცრილი საქონლის რძისა და ყველის მიღება?

## „ყველა ვაქცინას დაყოვნების პერიოდი დაახლოებით 5-8 დღე აქვს“

**სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ყოველწლიურად მიმდინარეობს მსხვილფეხა საქონლის ვაქცინაცია.** მომავალი წლიდან კი, სახელმწიფო ბრუცელოზის ვაქცინაციასაც დააფინანსებს. ზაფხულის დასაწყისში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მსხვილფეხა საქონელი აცრეს. თუმცა bpn-თან საუბარში სხვადასხვა რაიონების მოსახლეობამ აღნიშნა, რომ ცხოველის ვაქცინაციის შესახებ ისინი არ გაუფრთხილებიათ. შესაბამისად, აცრილი ძროხის რძისა და მისგან დამზადებულ ყველს ჩვეულებრივად იძენდნენ, რაც ჯანმრთელობისთვის სარისკოა.

**„სრულიად შემთხვევით გავიგე, რომ ძროხები აცრეს. ჩვეულებრივად ვყიდულობდი სოფლის რძესა და ყველს. როგორ შეიძლება აცრილი ძროხის რძისა და მისი ნაწარმის მიღება, ბავშვებს ხომ შეიძლება რამე მოსვლოდათ? შესაბამის სამსახურებს ხომ უნდა გავეფრთხილებინეთ, რომ საქონელი აცრეს და ცოტა ხნით რძისა და ყველის ყიდვისგან თავი შეიკავეთო?“** – გვითხრა ახალსოფლელმა მანანა სეფაშვილმა.

მოსახლეობის პრეტენზიების მოსმენის შემდეგ, bpn კომენტარისთვის სურსათის ეროვნულ სააგენტოს დაუკავშირდა. ვეტერინარიის დეპარტამენტის სამსახურის უფროსმა ჯამბულ მაღლაკელიძემ საქონლის აცრა დაადასტურა.

– სახელმწიფო პროგრამით, – თქვა მან, – ბიუჯეტიდან ფინანსდება ჯილეხის, თურქულისა და ცოფის აცრა. წელს დაახლოებით 700 ათასამდე მსხვილფეხა საქონელი აცრეს. შემოდგომაზე კვლავ იგეგმება ჯილეხზე აცრა. ასევე ჯილეხზე ვაქცინაცია ხდება წვრილფეხა პირუტყვზე – ცხვარი, თხა. თურქულზე უკვე აიცრა მსხვილფეხა საქონელი, ვაქცინაციის მეორე ეტაპი შემოდგომაზე დაიწყება. მეზობელ ქვეყნებში ცხვრის ყვავილის დაავადებაა გავრცელებული, ამიტომ პროფილაქტიკის მიზნით, ჩვენთან მილიონამდე ცხვარი აცრეს. ამ გზით ქვეყანაში დაავადების გავრცელებისგან თავი დავიზღვიეთ.

**– მოსახლეობა ჩივის, რომ საქონელი ისე აცრეს, არ გაგვაფრთხილესო. თუ შეიძლება გვითხრათ, აცრილი საქონლის რძისა და მისი ნაწარმის გამოყენება საშიშია თუ არა?**

ყველა ვაქცინას დაყოვნების პერიოდი აქვს, დაახლოებით 5-8 დღე. ამ პერიოდში სასურველია, რძე მოდუღდეს და მისგან პროდუქტები ისე გაკეთდეს.

**– თუმცა, ყველი ადუღებული რძისგან არ კეთდება. შესაბამისად, რისკიც მაღალია...**

– მართალია. იგივე ბრუცელოზი მხოლოდ ადუღებულ რძეში კვდება. შესაბამისად, ადამიანის დაავადების რისკიც მაღალია. ამიტომ მნიშვნელოვანია საქონლის აცრა. შესაძლოა, მეპატრონემ არ იცის, რომ მის ძროხას ბრუცელოზი აქვს, მაგრამ ცხოველი თუ ავადაა, ასეთ დროს წველა იკლებს. შეუძლებელია, რომ პატრონი ამას ვერ მიხვდეს. ასეთ დროს ვეტერინარი უნდა გამოიძახოს და შეამოწმოს. საბედნიეროდ, სახელმწიფო რამდენიმე დაავადებაზე პროფილაქტიკასა და იძულებით ვაქცინაციას აფინანსებს.

**– მომხმარებელში გავრცელებულია მოსაზრება, რომ ჭყინტ ყველს ანადუღარ წყალს თუ გადაავლებ, ყველანაირი ბაქტერია კვდებაო. რამდენად შეესაბამება ეს სიმართლეს?**

– ეს მართალი არ არის. დაავადებული საქონლის რძისგან გაკეთებული ყველი ადუღებული წყლით ვერ განეიტრალდება. თერმულად დამუშავების გარეშე მისი მიღება სარისკოა.

**– რაც შეეხება ბრუცელოზის აცრას, როდიდან დაიწყებს სახელმწიფო მის დაფინანსებას?**

– ბრუცელოზის პრევენციისა და კონტროლის ღონისძიებების ეროვნული სტრატეგია შევიმუშავეთ. მიმდინარეობს მისი განხილვა და დამუშავება. 2016 წლიდან ქვეყანაში ეს პრობლემა ეტაპობრივად აღმოიფხვრება და ამის ხარჯებს სახელმწიფო გასწევს. ეს შეეხება როგორც მსხვილფეხა საქონელს, ასევე ცხვარს. საქონლის სადგომებში ვეტერინარულ-სანიტარიული ღონისძიებები გატარდება, ცხვარს საყურე ნიშნებს შეაბამენ და ელექტრონულ სისტემაში შეიყვანენ.

**სალომე გოგოხია**

# ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

**ობიექტი № 1**

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ინერტული მასალის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, სოფ. ჯუმითის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ხობისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა (სამივე უბანზე ერთად) - 20 100 მ³ ). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, სოფ. ჯუმითის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 3 268 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 326,8 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 1 834 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 7 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 7 სექტემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 7 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 7 სექტემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 2 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 2**

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზემო ხოდაშენის ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია – $C_2$, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა (ორივე ჭაბურღილიდან ერთად) – 50 000 მ³/წელიწადში, თითოეული ჭაბურღილიდან - 25 000 მ³/წელიწადში ). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზემო ხოდაშენის ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 970 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 97 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) | 685 ლარი |
| | თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 7 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 7 სექტემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 7 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 7 სექტემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 3**

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ინერტული მასალის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა |

| | | |
|---|---|---|
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);<br>დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | სიღნაღის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხირსას მიმდებარე ტერიტორია, მდ. კოღოთისხევზე „ხირსა"-ს ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია – P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა – 18 000 მ³. |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | სიღნაღის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხირსას მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 2 926 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 292,6 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 1 663 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 7 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 7 სექტემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 7 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 7 სექტემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 2 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 17**

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით;<br>ბ) ობიექტის დამუშავების პროცესში მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით;<br>გ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს;<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);<br>ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჰერეთისკარის მიმდებარე ტერიტორია, „ჰერეთისკარის" ქვიშა-ხრეშის გამოვლინება, (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 52 300 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჰერეთისკარის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 7 466 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10%) | 746, 6 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 3 933 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 7 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 7 სექტემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 7 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 7 სექტემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 4 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 18**

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, სოფ. ლეწურწუმეს მიმდებარე ტერიტორია, მდ. სკურჩას ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 5 400 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, სოფ. ლეწურწუმეს მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 939 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 93,9 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 670 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 7 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 7 სექტემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 7 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება |

| | | |
|---|---|---|
| | თარიღი | 2015 წლის 7 სექტემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 19** | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ-ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს სამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელმა უზრუნველყოს სალიცენზიო ობიექტის (ჭაბურღილის) გარშემო 1,5 მეტრის დიამეტრის ბეტონის დასხმა, შემოღობვა და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება.<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფ. მანავის ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 10 000 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფ. მანავის ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 323 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 32,3 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 362 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 7 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 7 სექტემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 7 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 7 სექტემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |

| | | |
|---|---|---|
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 20** | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს სამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელმა უზრუნველყოს სალიცენზიო ობიექტის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება და შემოღობვა.<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. ალაიანის ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 5 000 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. ალაიანის ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 162 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 16,2 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 281 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 7 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 7 სექტემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 7 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 7 სექტემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

ჭიდაობა




# 10 წონაში — 9 მედალი

**სამი ოქროს, ორი ვერცხლის, ოთხი ბრინჯაოს მედალი და გუნდური პირველი ადგილი — ასეთი შთამბეჭდავი მაჩვენებლებით დაასრულა სერბულ სუბოტიცაში გამართული ევროპის პირველობა თავისუფალი სტილით მოჭიდავე საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებმა.** უკვე გაუწყეთ, რომ ასპარეზობის პირველ დღეს გიორგი იანტბელიძის შეგირდებიდან ოქროს მედლები ბათუმელმა თორნიკე ქათამაძემ (42), ხაშურელმა ალექსანდრე ლომიძემ (58) და სამტრედიელმა ივერიკო ჯულაყიძემ (69) მოიპოვეს, ხოლო გორელი თემურ ვანიშვილი (50) და თბილისელი ბექა ჭელიძე (85) მესამე ადგილებზე გავიდნენ. შეჯიბრების მეორე დღეს ჩვენმა ბიჭებმა ორი ვერცხლისა და ამდენივე ბრინჯაოს ჯილდო მოიხვეჭეს: მხოლოდ ფინალური პაექრობები დათმეს ხაშურელმა გიორგი ხაჩიძემ (46) სომეხ არსენ ჰარუთუნიანსა და სამტრედიელმა დემურ მეგენეიშვილმა (76) რუსეთელ მარიკ შებზუხოვთან. ხაშურელ თორნიკე კვინიკაძესა (63) და მცხეთელ ზურაბ ურთაშვილს (100) მესამე ადგილები ერგოთ.

**გივი გაგუა**

ძიუდო

# მოკრძალებული სტარტი




**ჭაბუკმა ძიუდოისტებმა ბოსნიურ სარაევოში მსოფლიოს პირველობაზე მოიყარეს თავი. ქართველებმა პირველი დღე ბრინჯაოს მედლით ჩაამთავრეს, ტატამზე კი ორი სპორტსმენი გავიდა.** ვანო ხუბაშვილმა (55) ზედიზედ დაამარცხა თურქი უგურცან ზეჰირი, ავსტრალიელი სოლომონ ბლანჩი და ფრანგი იანის ბეკტაუ, მეოთხედფინალი რუს ჰამზატ ამადოვთან დათმო, დამამშვიდებელში კი ბრაზილიელებს აჯობა — ჯერ ბრუნო ვატანაბეს, შემდეგ კი — რენან ტორესს და „ბრინჯაო" ხვდა. ევროპის წლევანდელმა ვიცე-ჩემპიონმა გიორგი ნიაზაშვილმა (50) ბოსნიელი დავიდ პუსიცი და ბრაზილიელი ჟოაო პაულო კორეია დაჯაბნა, ყაზახ აიბოლატ ისტიბაის კი ვერ გასცდა. დამამშვიდებლის ფინალში ჩვენებური რუსმა ყაზბეგ ნაგუჩიევმა შებოჭა და მეხუთე ადგილზე გავიდა.

**ლაშა დიდია**

ინტერნეტიდან

# ივანა ნადალს დასამალი არაფერი აქვს

**არგენტინელი სპორტული ტელეჟურნალისტი ივანა ნადალი მიუხედავად იმისა, რომ თავისი საქმის ჭეშმარიტ პროფესიონალად ითვლება, მისი პოპულარობა ჟურნალისტობით სულაც არაა განპირობებული. ივანა თავისუფალ დროს თამამი ფოტოგადაღებებით ირთობს თავს და სწორედ ამით მიიქცია მან მთელი მსოფლიოს ყურადღება.**

მიუხედავად იმისა, რომ პროფესიული ასპექტით ობიექტურობა მოეთხოვება, იგი მაინც ღიად ავლენს არგენტინული საფეხბურთო კლუბის „ბოკა ხუნიორსისადმი" ტრფობას და როდესაც ამის საშუალება მიეცემა ხოლმე, თავპატიჟდაუდებლად ცაში აჰყავს „ბოკას" ფეხბურთელები.



ცალმხრივ სიყვარულს, აბა, რა ილაჯი აქვს? ამიტომ ივანა ნადალს სიყვარულში და დაფასებაში არც ბუენოს აირესული კლუბის ფეხბურთელები ჩამოუვარდებიან და თუკი ექსკლუზიური ინტერვიუს მიცემა სურთ, მსწრაფლ ივანას დაეჭვიტებიან ხოლმე. მოკლედ, ხელი ხელს ბანს, სიყვარული კი ყველაფერს ალამაზებს.

**როსტომ რაჭველიშვილი**

მოვლენის წინ

# ალბა თბილისში არ ითამაშებს



**თბილისში 11 აგვისტოს უეფას ევროპის სუპერთასზე „ბარსელონასა" და „სევილიას" შორის გასამართ მატჩში კატალონიელებს მარცხენა მცველი ხორდი ალბა ვერ დაეხმარება.**

მან მარჯვენა ფეხის ტრავმა „გამპერის თასზე" იტალიის „რომასთან" მოგებულ მატჩში (3:0) მიიღო და 75-ე წუთზე შეცვალეს.

ტრავმის ხასიათი არ კონკრეტდება, მაგრამ „ბარსას" ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, ალბა 10-15 დღე დაისვენებს.

აქედან გამომდინარე, ხორდის თბილისში თამაში გამორიცხულია.

**გიორგი შოთაძე**

მეტოქე

# ტონგამ მესამეც მოიგო



**საქართველოს ნაკრების მომავალმა მეტოქემ ინგლისის მსოფლიო თასზე ტონგამ 2015 წლის წყნარი ოკეანის თასზე ზედიზედ სამი თამაში მოიგო და ტურნირი მესამე ადგილზე დაასრულა.**

მომავალ გამარჯვებულ ფიჯისთან მარცხის შემდეგ ტონგელებმა ზედიზედ სძლიეს კანადას და აშშ-ს, ხოლო დასკვნით მატჩში იაპონია დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხეს — 31:20. მეტოქეებმა თამაში მძიმედ დაიწყეს და რეფერიმ ორივე გუნდიდან თითო-თითო მორაგბე „გააყვითლა". პარალელურად, იაპონელების ორ ჯარიმას კურტ მორატიმ ერთი ზუსტი დარტყმით უპასუხა, 29-ე წუთზე კი ტონგელთა მოლს ჰალანი აულიკას ლელო მოჰყვა და მორატიმ გარდასახვა გამოიყენა — 10:6.

იაპონიამ ლელოთი სწრაფადვე უპასუხა, მაგრამ უდისციპლინობის გამო მორატისგან ორი ჯარიმით დაისაჯა და ტაიმი 16:11 დასრულდა. მეორე ტაიმის დასაწყისში იაპონელებმა ორი ჯარიმით კვლავ შეძლეს უპირატესობის დაბრუნება, მაგრამ ფეტუუ ვაინიკოლოსგან მეორე ლელო მიიღეს. მერე გუნდებმა კიდევ თითო-თითო დარტყმა გაცვალეს, დასკვნით 10 წუთში კი კაცნაკლულად მოთამაშე მეტოქეს შეხვედრის საუკეთესო მორაგბე სონატანე ტაკულუამ მესამე ლელო გაუტანა და ტონგამ 31:20 იმარჯვა.

„სასიამოვნოა, ტურნირი ზედიზედ სამი გამარჯვებით რომ დავასრულეთ. ეს თამაშები მსოფლიო თასის წინ გუნდის შეკვრაში დაგვეხმარება", — თქვა ტონგელთა მეორეხაზელმა ჯოე ტუინეაუმ.

**კობა კობახიძე**

კალათბურთი

# პირველი ნაბიჯი

**საქართველოს კალათბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის წინ პირველი ამხანაგური შეხვედრა ჩაატარა: სლოვენიის ქალაქ პოდჩეტრტეკში მან ბოსნია-ჰერცეგოვინას 78:73 სძლია.**



იგორ კოკოშკოვის გუნდი სლოვენიაში 23 ივლისს შეიკრიბა, ხოლო ბოსნიელები სპეციალურად ჩავიდნენ პოდჩეტრტეკში ქართველებთან სათამაშოდ.

საქართველოს ნაკრებმა მატჩი ასეთი ხუთეულით დაიწყო: გიორგი ცინცაძე, მანუჩარ მარკოიშვილი, დუდა სანაძე, ვიქტორ სანიკიძე და ზაზა ფაჩულია. ტრავმის გამო არ უთამაშია თორნიკე შენგელიას — მას კუნთი დაეჭიმა. სხვადასხვა მიზეზთა გამო განაცხადში ვერ მოხვდნენ ბესიკ ლეჟავა, ბექა წივწივაძე, გიორგი შარაბიძე და მიხეილ ჭოჭუა.

მიუხედავად იმისა, რომ პირველი მეოთხედი ბოსნიელებმა მოიგეს — 11:20, პირველი ტაიმი კოკოშკოვის გუნდმა თავის სასარგებლოდ დაასრულა - 36:33. მესამე მეოთხედის შემდეგ ანგარიში 64:55 იყო საქართველოს ნაკრების სასარგებლოდ, საბოლოოდ კი — 78:73.

„მიმდინარე ციკლში პირველი მატჩი ჩავატარეთ და, ცხადია, ყველაფერი ისე არ იყო, როგორც ვისურვებდით. გუნდი ოპტიმალური ფორმისგან შორსაა, თუმცა, დღევანდელ მატჩში ცუდად არ უთამაშია. შეცდომების მიუხედავად, კარგი დაცვისა და ბრძოლის ხარჯზე მოვახერხეთ ბოსნიელების დამარცხება და ეს ფსიქოლოგიური განწყობის ასამაღლებლად ძალიან კარგია", — განაცხადა საქართველოს ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმა დავით უსტიაშვილმა.

**საქართველო:** ჯეიკობ პულენი (6 ქულა), ოთარ ფხაკაძე (2), ნოდარ გოგოძე, ზაზა ფაჩულია (4), გიორგი ცინცაძე (13), გიორგი შერმადინი (8), დუდა სანაძე (6), მანუჩარ მარკოიშვილი (13), ლევან ფაცაცია, ვიქტორ სანიკიძე (10), გიგა ჯანელიძე, ბექა ბურჯანაძე (10), ნიკა მეტრეველი (6).

**მწვრთნელი:** იგორ კოკოშკოვი

**ვიტალი ჯაფარიძე**

ლეგენდა

# ნასტასე: ფედერერს შეუძლია 40 წლამდე ითამაშოს

**დიდი სლემის 2-გზის ჩემპიონმა, ლეგენდარულმა რუმინელმა ჩოგბურთელმა ილიე ნასტასემ როჯერ ფედერერის შესახებ ისაუბრა.**



„თუ მკითხავთ, ვისი თამაშის საყურებლად გადავიხდიდი ფულს, — ეს როჯერ ფედერერია. ჯოკოვიჩი-ნადალის თამაში საყურებლად ნაკლებად მიმზიდველია, ვიდრე ფედერერი-ნადალის პაექრობა, რადგან ესპანელი და სერბი ერთნაირი სტილის მოთამაშეები არიან. ფედერერს კორტზე ყველაფრის გაკეთება შეუძლია. არავის შეუძლია მასავით მრავალფეროვნად ითამაშოს. ჯერჯერობით ადრეა შვეიცარიელის კარიერის დასრულებაზე საუბარი. არ მესმის იმ ხალხის, ვინც ამაზე ლაპარაკობს. როჯერი შესანიშნავ კონდიციებშია. 33 წლის ფედერერს შეუძლია 40 წლამდე ითამაშოს" — განაცხადა ილიე ნასტასემ.

**მანუჩარ გიორგაძე**

### ◎ დაბალი, მაღალი... ფულიანი, უფულო...

# ვინ რამდენ გროშს შოულობს საქართველოში?

## პროფესიები, სადაც ანაზღაურება 1 500 ლარს აღემატება

**დასაქმებისა და გაწეული სამუშაოსთვის შესაბამისი ანაზღაურება საქართველოში ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. თუმცა, მიუხედავად ამისა, არსებობს პროფესიები, რომლებზეც მოთხოვნა საკმაოდ მაღალია და, შესაბამისად, არც ანაზღაურება აა ურიგო.**

სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტის ოფიციალური ინფორმაციით, საქართველოში დაქირავებით დასაქმებული მოხელეებიდან ყველაზე მაღალი ანაზღაურება საფინანსო სფეროში დასაქმებულ პირებს აქვთ (1600-დან 1800 ლარამდე), ყველაზე მცირე საშუალო ხელფასი კი – განათლებისა და სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებულებს.

გარდა ოფიციალური მონაცემებისა, რომელთაც სტატისტიკის დეპარტამენტი ავრცელებს, Ambebi.ge დაინტერესდა კერძო სექტორში მოთხოვნადი სპეციალობებით, რომელთა კვალიფიციური კადრები 1500 ლარზე მეტ საშუალო თვიურ ანაზღაურებას იღებენ.

აღმოჩნდა, რომ IT **მენეჯერებზე** საქართველოში მაღალი მოთხოვნაა და კვალიფიციური კადრის შემოსავალი მინიმუმ 1 500 ლარია. აღსანიშნავია, რომ ეს სპეციალობა მოთხოვნადი და მაღალანაზღაურებადია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში. მაგალითად, ევროპასა და აშშ-ში კომპიუტერული და საინფორმაციო სისტემების მენეჯერების წლიური შემოსავალი დაახლოებით 125.600 დოლარს შეადგენს.

საქართველოში პროფესიონალთა შემოსავალი 1 500 ლარს აჭარბებს მარკეტინგის მენეჯერების შემთხვევაშიც. აღსანიშნავია, რომ ხშირად, წარმატებულ კომპანიაში დასაქმებული **მარკეტინგის მენეჯერების** ანაზღაურებაში 1 500 ლარი ქვედა ზღვარიც კია. რაც შეეხება ქართველი მარკეტოლოგების ევროპელსა და ამერიკელ კოლეგებს, ბუნებრივია, მათი შემოსავალი ბევრად უფრო შთამბეჭდავია; ბოლო მონაცემებით, ევროპასა და აშშ-ში მარკეტინგის მენეჯერების წლიური შემოსავალი დაახლოებით 126.196 დოლარია.

ჩვენი მოკვლევის მიხედვით, საქართველოში, გარკვეულ შემთხვევებში, 2 000 ლარზე მეტია აუდიტორულ კომპანიებში დასაქმებულ **აუდიტორთა** შემოსავალი – ცხადია, გამოცდილებისა და სამუშაო სტაჟის შესაბამისად.

აღმოჩნდა, რომ საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი პერსონალია **საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერები,** რომელთა შემოსავალი როგორც სახელმწიფო უწყებებში, ასევე წარმატებულ კომპანიებში აჭარბებს 1 500 ლარს. თუმცა უნდა ითქვას, რომ იგივე პროფესიას აშშ-სა და ევროპაში ყველაზე მაღალანაზღაურებადი პროფესიების ათეულში ვერ ნახავთ.

ევროპის მსგავსად, ჩვენთანაც ერთ-ერთ მაღალშემოსავლიან საქმიანობად ითვლება **არქიტექტურული და საინჟინრო მენეჯმენტი**. მართალია ქართველი არქიტექტორების საშუალო წლიური ხელფასი მათი უცხოელი კოლეგების მსგავსად 129.350 დოლარს ვერ უტოლდება, თუმცა ამ სფეროს მცოდნე პროფესიონალებს, რომლებიც წარმატებულ სამშენებლო კომპანიებში არიან დასაქმებულნი, საწუწუნო ნამდვილად არაფერი აქვთ საქართველოში.

დამაფიქრებელია, რომ რამდენიმე პროფესია, რომელიც ევროპისა და აშშ-ის მასშტაბით ყველაზე მაღალანაზღაურებადად მიიჩნევა, საქართველოში დაუფასებელია, ან საერთოდ არ არის ათვისებული. მაგალითად, **სამრეწველო ორგანიზაციული ფსიქოლოგები** და **საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მენეჯერები** აშშ-სა და ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე შემოსავლიანი კადრები არიან. თუმცა იმისთვის, რომ ეს პროფესიები დაინერგოს საქართველოში, ერთ შემთხვევაში ქვეყანაში ბიზნესის კიდევ უფრო განვითარება, მეორე შემთხვევაში კი მეცნიერების სფეროს კიდევ უფრო წინსვლაა საჭირო. საბუნებისმეტყველო სფეროში დასაქმებულ მენეჯერებს წელიწადში საშუალოდ 128.230 დოლარს უხდიან, თუმცა ბევრად აღემატება აღნიშნულ თანხას მათი შემოსავალი, ვინც კოსმოსურ ინდუსტრიაშია ჩართული.

საქართველოში ასევე მაღალანაზღაურებად საქმიანობად მიიჩნევა **ბუღალტერია** და **ზოგად ფინანსური მენეჯმენტი**. ამ პროფესიის ერთ-ერთ უპირატესობა ისაა, რომ ის მოთხოვნადია არა მხოლოდ საბანკო სექტორში, არამედ ნებისმიერ კომპანიაში, საქმიანობის მიმართულების მიუხედავად. საქართველოში მსხვილ კომპანიებში დასაქმებული მთავარი ბუღალტრების შემოსავალი 2 000-დან 3 000 ლარამდეც აღწევს.

ასეთ სურათს აჩვენებს Ambebi.ge-ს მიერ ჩატარებული მოკვლევა, რაც შეეხება სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ოფიციალურ გვერდზე განთავსებულ მონაცემებს, იქ აღნუსხულია როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში დასაქმებულ პირთა ანაზღაურების საშუალო თვიური მაჩვენებლები. აქ ჩამოთვლილ სფეროებს შორის არის სოფლის მეურნეობა, სამთო-მოპოვებითი მრეწველობა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, განათლება, ჯანდაცვა, სახელმწიფო მმართველობა. გარდა ამ მონაცემებისა, საგულისხმოა საჯარო სექტორში დასაქმებულ მაღალჩინოსანთა ხელფასები.

სახელმწიფო მართვის სფეროში დასაქმებულთა ხელფასები და სახელფასო დანამატების გასაჯაროებას რამდენიმე თვის წინათ ქვეყანაში დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა მაშინ კონკრეტულად, მინისტრების მიერ 2013 წელს მიღებული პრემიები და სახელფასო დანამატებიც გაასაჯაროვა, რომლის მიხედვითაც ყველაზე მეტი დანამატი (83076) თავდაცვის მინისტრს, ყველაზე ნაკლები კი განათლების მინისტრს ჰქონდა (25034).

საინტერესოა ისიც, რომ პარლამენტის აპარატში, საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტში სამოქალაქო ლონისძიებათა დაგეგმვის განყოფილების უფროსის ანაზღაურებაც თითქმის 3 000 ლარს აღწევს.

**სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, საქართველოში დასაქმებულად 1 724 000 ადამიანი ითვლება. აქედან, თვითდასაქმებულია 1 054 000, დაქირავებით დასაქმებული კი – 662.200 ადამიანი.**

**სალომე შიხაშვილი**

# თუ გაფიცვა არ შეწყდება, მძღოლებს სამსახურიდან დაითხოვენ

**თუ მძღოლები არ დაუბრუნდებიან სამსახურს, მათთან ხელშეკრულება გაუქმდება, – ამის შესახებ ჟურნალისტებს კომპანია „თბილისის მიკროავტობუსის“ წარმომადგენელმა ნათია მიქიაშვილმა განაცხადა.**

მისივე თქმით, ამ დროისთვის გაფიცულია სხვადასხვა ხაზის მხოლოდ 50-მდე მძღოლი.



როგორც მიქიაშვილი აცხადებს, ეს არის არა გაფიცვა, არამედ საბოტაჟის მცდელობა.

„კომპანია მოუწოდებს ყველას, დაუბრუნდნენ სამსახურს. არ დავუშვებთ, რომ მგზავრებს გადაადგილებაზე შეექმნათ პრობლემა. ეს არ არის გაფიცვა, ეს არის საბოტაჟის მცდელობა. გაფიცვას აქვს თავისი წესები, რომლის მიხედვითაც, წინასწარ უნდა შეატყობინონ კომპანიას, საზოგადოებას და ა. შ. ეს წესები საერთოდ არ ყოფილა დაცული. აქედან გამომდინარე, თუ ისინი არ დაუბრუნდებიან სამსახურს, ხელშეკრულებები გაუქმდება“, – განაცხადა ნათია მიქიაშვილმა.

მისივე თქმით, სიტუაციას ძაბავენ გარეშე პირები, რომლებსაც არანაირი შეხება არ აქვთ არც მძღოლებთან და არც კომპანიასთან და რომლებიც ცდილობენ თავისი პოლიტიკური ინტერესების გამო ამ თემის გამოყენებას.

რაც შეეხება მიმდინარე შეხვედრას, როგორც მიქიაშვილი აღნიშნავს, ყველა საკითხზე მიდის შეთანხმება და ამ შეხვედრის შემდეგ სავარაუდოდ, მძღოლები შეწყვეტენ გაფიცვას.

---

**საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ფარმაციის და ტრადიციული მედიცინის ფაკულტეტი ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობს უნივერსიტეტის რექტორს, არქიმანდრიტ მამა ადამს (ვახტანგ ახალაძეს) ვაჟიშვილის**

**მიქაელ ახალაძის**

**გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და თანაგრძნობას უცხადებს ცენტრის გამგეობის წევრს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, არქიმანდრიტ ადამს (ახალაძეს) ერთადერთი ვაჟის**

**მიქაელ ახალაძის**

**გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის პირადი შემადგენლობა მწუხარებას გამოთქვამს ყოფილი თანამშრომლის, გენერალ-მაიორ**

**ზაზა შუბითიძის**

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.**

**მარინა, სიმონ ნოზაძეები მწუხარებას გამოთქვამენ ახლო მეგობრის**

**ზაზა შუბითიძის**

**გარდაცვალების გამო.**

---

## განცხადება

2015 წლის 29 სექტემბერს, 12 საათზე, ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: დაბა ხულო, ტბელ აბუსერიძის ქ. №1) გაიმართება შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი (ანგისა) – ახალციხის საავტომობილო გზის ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალი, სოფ. დიდაჭარის მიმდებარე მონაკვეთის გადატანის სამუშაოების და მისი ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

პროექტი მიზნად ისახავს საავტომობილო გზის 1,2 კმ სიგრძის მონაკვეთის (მათ შორის მდ. ღორჯომზე არსებული ხიდის) გადატანას შედარებით მაღალ ნიშნულებზე, ვინაიდან არსებული მონაკვეთი მშენებარე შუახევიჰესის (დიდაჭარისკაშხალი) წყალსაცავის შეტბორვის ზონაში ექცევა.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- **ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში – (მისამართი: დაბა ხულო, ტბელ აბუსერიძის ქ. №1);**
- **შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“-ს ოფისში - ქ. ბათუმი, ირაკლი აბაშიძის ქ. №6;**
- **შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ ხულოს საინფორმაციო ცენტრში - ხულოს მუნიციპალიტეტი, ტბელ აბუსერიძის ქუჩა (გამგეობის შენობის გვერდით);**
- **შპს „გამა კონსალტინგის“ ოფისში – ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 2 60 15 27.**

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირებს:

- **ნინო გაგუა. ტელ: 555 95 95 10;** E-mail: gagua@agl.ge;
- **გიორგი ბჟალავა. ტელ: 595 28 75 60;** E-mail: goga@gamma.ge.

საზოგადოებას საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენა შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 45 დღის ვადაში.

**შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ ადმინისტრაცია**

---

### ◎ ინფორმაცია

## პროფსასწავლებლებში 14 მლნ ლარის ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდება

**განათლებისა და მეცნიერების მინისტრი საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურული პროექტების პრეზენტაციას განაგრძობს. თამარ სანიკიძემ ჟურნალისტებს პროფესიულ სასწავლებლებში 2013 წლიდან დღემდე განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები წარუდგინა და სამომავლო გეგმები გააცნო.**

**პროფესიულ განათლებას საქართველოში სახელმწიფო სრულად აფინანსებს. როგორც მინისტრი განმარტავს, თანამედროვე სტანდარტების კოლეჯებში, ასაკის შეუზღუდავად, ყველა მსურველს შეუძლია შრომის ბაზარზე მოთხოვნად ნებისმიერ პროფესიას დაეუფლოს და დასაქმდეს.**

**პროფესიულ განათლებაზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელის გაძლიერების მიზნით, ფუძნდება ახალი სასწავლებლები და ფილიალები.**

**2013–2015 წლებში სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა 9 პროფესიულ სასწავლებელში (5 607 772 ლ). ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა 8 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას (1 977 189ლ). აშენდა 1 საერთო საცხოვრებელი და 1 სასწავლო კორპუსი (3 472 950ლ).**

**თამარ სანიკიძის განცხადებით, 2015 წელს 14 მილიონი ლარის ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდება საქართველოს მასშტაბით არსებულ სახელმწიფო კოლეჯებში (მათ შორის ორ ახლადდაფუძნებულ სასწავლებელში), ფილიალებსა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ უმაღლეს სასწავლებლებში.**

ინფორმაცია

## თურქეთში ტერორისტებმა ქართველი მძღოლების მანქანები დაწვეს!

**როგორც** ვიუწყებოდით შპს „ალგანის“ ტრაილერის ქართველი მძღოლი შეიარაღებულმა პირებმა დააკავეს, ავტომობილი კი დაწვეს.

„უნდა შეესრულებინა თურქეთი-უკრაინის გადაზიდვა. გადავიდა ვალეს მხრიდან. ქალაქ არდაჰანს როგორც კი გასცდა, გააჩერეს შეიარაღებულმა პირებმა. მძღოლი სცემეს და მანქანა დაწვეს. საგარეო საქმეთა სამინისტროში მოვედი დახმარების სათხოვნელად, თუ როგორ შეიძლება იმ მძღოლის გადმოყვანა და რითია შესაძლებელი ზარალის ანაზღაურება“, — განაცხადა კომპანიის წარმომადგენელმა მერაბ გენგიურმა.

მეორე შემთხვევა მოხდა 31 ივლისს. ერზრუმის მიმართულებით მიმავალი ტრაილერის მძღოლები დააკავეს ასევე შეიარაღებულმა პირებმა. მათ ასევე გადაწვეს ტრაილერები და რამდენიმესაათიანი ტყვეობის შემდეგ გაათავისუფლეს. აღნიშნული მძღოლები საქართველოში უკვე ჩამოვიდნენ.

„შეიარაღებულმა პირებმა ავტომატის მუქარით ჩამოგვყარეს დაბლა. მათ გაჩერებული ჰყავდათ პატარა ავტობუსი და იქ შეგვყარეს“, — აცხადებენ 31 ივლისს მომხდარი ტერორისტული აქტის დროს დაზარალებული ქართველი მძღოლები.

* * *

**საგარეო** საქმეთა სამინისტრო საქართველოს მოქალაქეებს ურჩევს, თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონში გადაადგილებისგან თავი შეიკავონ. მიზეზი ბოლო დროს გახშირებული ტერორისტული აქტებია.

„თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ პროვინციებში უკანასკნელ პერიოდში გახშირებული ტერორისტული აქტებიდან და თავდასხმებიდან გამომდინარე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ურჩევს საქართველოს მოქალაქეებს, თავი შეიკავონ თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონში გადაადგილებისაგან (კერძოდ, არდაჰანის, ერზერუმის, ერზინჯანის, ყარსის, იღდირის, აღრის, ვანის, ბითლისის, მუშის, ბინგოლის, ელაზიღის, თუნჯელის, მალათიას, შალნიურფასა და ჰაქქარის ვილაიეთები). საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ, დაუკავშირდნენ თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს დიპლომატიურ და საკონსულო დაწესებულებებს“, — ნათქვამია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

## ადმინისტრაციული საზღვარი ორი დღით იკეტება

**აგვისტოს** ომის მეშვიდე წლისთავთან დაკავშირებით, ე.წ სამხრეთ ოსეთი ადმინისტრაციულ საზღვარს ორი დღით კეტავს. ამის შესახებ ოკუპირებული რეგიონის ე.წ უსაფრთხოების კომიტეტი „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე წერს.



„რესპუბლიკის უსაფრთხოების კომიტეტი გატყობინებთ, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის მეშვიდე წლისთავთან დაკავშირებით დაგეგმილი სამგლოვიარო ღონისძიებების დროს უსაფრთხოების რეჟიმის გაძლიერებასთან დაკავშირებით, 7 და 8 აგვისტოს საქართველოსთან სახელმწიფო საზღვარზე მოქალაქეების გაშვების პროცესი შეჩერდება“, — წერია განცხადებაში.

დე ფაქტო უწყების ცნობით, მოქალაქეების გაშვების პროცესი ჩვეულ რეჟიმში 9 აგვისტოდან აღდგება.

## სამართალდამცველებმა დიდი ოდენობით „ექსტაზი“ ამოიღეს

**ცენტრალური** კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს ფსიქოაქტიური და ფსიქოტროპული ნივთიერებების წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს და ამავე დეპარტამენტის აჭარის ა/რ სამმართველოს თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, 1989 წელს დაბადებული ირაკლი ჯ. ბათუმში, აფსაროსის გზატკეცილზე დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 66 აბი და დაფხვნილი ნახევარი აბი „ექსტაზი“ ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 4,9479 გრ ნარკოტიკულ ნივთიერება 3,4-მეთილენდიოქსიმეტამფეტამინს შეიცავს. ნარკოლოგიური შემოწმებით ბრალდებულს ამფეტამინის, მეტამფეტამინის და „ექსტაზის“ მოხმარების ფაქტი დაუდგინდა. გამოძიების ინფორმაციით, დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

## კახეთში უკანონო იარაღი ამოიღეს

**კახეთის** სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1978 წელს დაბადებული კახა ჯ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით თელავის რაიონის სოფელ ართანაში დააკავეს.

გამოძიების ინფორმაციით, ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა კახა კ-მ, გვიან ღამით, არარეგისტრირებული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან საკუთარი საცხოვრებელი სახლის ეზოში რამდენიმეჯერ გაისროლა. გასროლას მსხვერპლი არ მოჰყოლია. სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, ქარხნული წესით დამზადებული, „კალაშნიკოვის“ კონსტრუქციის „ა-კა-74“-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და 12 მასრა ამოიღეს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

**რეკლამა** მაჩაბლის ქ. №7.
2 93-37-87.

**ყურადღება!**

**იყიდება** დიდ დიღომში „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით. **ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.**

**პაციენტთა საყურადღებოდ!**

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ინფორმაციაა...**

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13 ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

**იყიდება**

**იყიდება** უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლების წყაროებიდან სამოციოდე მეტრში მდებარე 2430 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი, სადაც, სურვილისამებრ, ერთდროულად შეიძლება როგორც სანატორიუმის, ისე სამკურნალო-სააბაზანოს, ფიტნესკლუბის, კინოთეატრისა თუ სხვა ნაგებობათა აშენება. ყველა კომუნიკაცია არის. ფასი შეთანხმებით. ტელ: 5 99 98 56 33; 599 37 00 35.

## ცინცხალი ანეკდოტები

**ორმა** ქერა ლამაზმანმა ჩაი დალია. სხედან და ჩაიდანს შეჰყურებენ...

— დარჩენილ ცხელ წყალს რა ვუყოთ? გადასაღვრელად მენანება.

— რატომ უნდა გადაღვარო? შედგი მაცივარში, ცხელი წყალი მუდამ გამოგვადგება.

* * *

— **ექიმო**, ვერ ვგრძნობ, რომ ჩემს აზრს რაიმე მნიშვნელობა აქვს, მეგობრებს თითქმის ვერ ვხვდები და ფულს ჩემთვის უსარგებლო ნივთებზე ვხარჯავ.



— როგორც ჩანს, ქალი გყავთ.

**ცოლ-ქმარი** ჩხუბობს. საშინელი სკანდალია.

— გაჩერდი მაინც, — ეუბნება ქმარი, — ისედაც ვიტრინაში გამოფენილი ბოლო წყვილი ფეხსაცმელივით ხარ.

— ეს რატომ?

— იმიტომ, რომ ასმა კაცმა მაინც გაგსინჯა, მე სულელმა კი აგიღე.

* * *

— **როგორ** აღნიშნე საკუთარი დაბადების დღე?

— ცუდად.

— რატომ?

— იმიტომ, რომ მეორე დღეს ყველაფერი მახსოვდა, მაგრამ სირცხვილის გრძნობას არც შევუწუხებივარ.

კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორის მაგიერ
სპარტაკ ძობულია
293-37-87;
599 36-00-35

რედაქტორთა საბჭო:
ალეკო ასლანიშვილი 599 56-81-86;
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე